პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) სენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეორეული დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ქვირა, 15 აგვისტო, 1948 წ. № 162 (8206). ფასი 20-კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები მთელ საბჭოთა სალვოვან-ერთად დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს! მხურვალე სალამი ჩვენს სახელოვან საბჭოთა მეზღვაურებს! დიდება ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

სამშობლოს სადარაჯოზე

ფოტოკომპოზიცია ვლ. გინზბურგისა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1948 წლის 15 აგვისტო № 44 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგომებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს და ჩვენს სამხედრო მეზღვაურებს ახალ-ახალ წარმატებას ვუსურვებ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების ძლიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანათა შესრულების საქმეში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 15 აგვისტოს, ლენინგრადში, კრონშტადტში, ტალინში, ბალტიისკში, სევასტოპოლში, ოდესაში, მურმანსკში, ვაიწვაში, არხანგელსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურში, სოვეტსკაია გავანში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში, ბაქოში, ხაბაროვსკში, იზმაილში, პინსკში მიღებულ იქნას სამხედრო ხომალდების სალუტი — ოცი საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ბულგანინი

გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. ეს დღე ტარდება სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობისა და განმტკიცების ირგვლივ ფართო მასების მობილიზაციისა და ამ დარგში მოპოვებულ წარმატებათა დათვალიერების ნიმნით.

საბჭოთა კავშირი დიდი საზღვაო ქვეყანაა. მისი სახელმწიფო საზღვრების ორი მესამედი ზღვებისა და დიდი მდინარეების ნაპირებზე გადის. ამ საზღვრების დაცვა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამატო ამოცანაა.

საბჭოთა მეზღვაურები პირნათლად ასრულებენ ამ ამოცანას. ისინი ერთგული არიან რუსული ფლოტის სახელოვანი ტრადიციებისა, რომლის ისტორიაც მდიდარია უმაგალითო საგმირო საქმეებით. საბჭოთა მეზღვაურების ვაჟკაცობა და სამშობლოსათვის თავდადება ცნობილია მთელი პროგრესული კაცობრობისთვის.

ბოლშევიკური პარტია, ლენინი და სტალინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საბჭოთა სახმელო-საზღვაო ფლოტის განვითარებას, მის ძლიერების განმტკიცებას. ლენინი და სტალინი უშიშარ ხელმძღვანელობდნენ საზღვაო ფლოტისათვის მტკიცე ბაზების შექმნას, თანამედროვე ხომალდებით მის აღჭურვას.

სტალინური ხუთწლეულის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით შეაქმნა ძლიერი გემთმშენებელი მრეწველობა, რომელმაც შესანიშნავად აღჭურვა ჩვენი საზღვაო ფლოტი და ახლაც წარმატებით ანარეკლავს მის შეფასებას მრავალფეროვანი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით.

ჩვენმა პარტიამ, დიდმა სტალინმა ალმაცერი და ზრდის ნიჭიერ გემთმშენებელ კონსტრუქტორებს, ხომალდმძღოლთა და საბრძოლო ოსტატობას დაუფლებულ მეზღვაურ-მოცურავეებს, რომლებიც სახელოვნად ეწესებიან საამბოხოს.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი 10 წლის წინათ, 1938 წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღნიშნავდა: „ჩვენ ანკარიში უნდა გაეკეთოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა დიდია, რომ მას აერავს ზღვები ძალიან დიდი მანძილზე, და ეს მოდამ მოვავალინებს იმას, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს მტკიცე, ძლიერი ფლოტი... ჩვენ გვპირდება ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ძმლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერი, ჩვენი დიდი საქმის შესაფერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი“.

საბჭოთა ხალხმა საკუთარი შრომით შეაქმნა ძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მარტო 1939 წელს ფლოტმა მიიღო 112 ახალი ხომალდი, 1940 წელს — 168 ხომალდი. 1941 წლისათვის ჩვენ უკვე გვქონდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით სრულქმნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება და ჩვენი სახელოვანი მეზღვაურების მაღალი სამბრძოლო თვისებები განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. გრანდიოზულ საზღვაო ბრძოლებში უშიშარმა საბჭოთა მეზღვაურებმა გვიჩვენეს სოციალისტური სამშობლოსადმი. ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების შესანიშნავი ნიმუშები. მათ საბჭოთა არმიასთან მჭიდრო თანამშრომლებით ბრწყინვალედ გადასჭრეს ფლოტის წინაშე დასმული ამოცანები და მტერს აუნაბუდებელი ზარალი მიაყენეს. საბჭოთა საზღვაო ფლოტმა უდიდესი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. ჩვენი ქვეყნის მოსისხლეთ მტრებზე ამ ისტორიული გამარჯვების მოპოვებისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ერების შვილებთან ერთად თავი გამოიჩინეს საზღვაო ფლოტის ქართველმა მეომრებმა ი. იოსელიანმა, ა. კანანაძემ, მ. ჯინჭარაძემ, ს. რამაშვილმა, ა. გეგეშიძემ, რ. ბარციციმა, კ. კოჩიეფმა, ნ. ადამიამ, ა. ფუტურუმიამ და მრავალმა სხვებმა, რომელთა საგმირო საქმეებით კანონიერად ამაყობს მთელი ქართველი ხალხი.

ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ფლოტის საბრძოლო მოქმედებებს: „ბალტიის, შავს და ბარენცის ზღვებში, ეოლეაზე, დუნაისა და დნეპრზე, საბჭოთა მეზღვაურებმა ომის ოთხი წლის განმავლობაში ახალი ფურცლები ჩაწერეს რუსული საზღვაო დიდების წიგნში. ფლოტმა ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე“.

სამშობლოსადმი დიდად დაიფასა თავისი სახელოვანი შვილების საბრძოლო დამსახურება. 500-ზე მეტ მეზღვაურს და საზღვაო მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 160 ათასზე მეტი მეზღვაური დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, 200-მდე ხომალდი და ფლოტის ნაწილი გარდაქმნილ იქნა გვარდიულ ნაწილებად და დაჯილდოებულ იქნენ ორდენებით.

ომისშემდგომი პერიოდი ხასიათდება საზღვაო ფლოტისადმი საბჭოთა ხალხის საყოველთაო ყურადღების კიდევ უფრო გაძლიერებით. ფლოტის ხელმძღვანელობა ნიბაყოფლობით საზოგადოებამ დაარსება ამის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს. ამ საზოგადოებაში გაერთიანებული საბჭოთა ადამიანები აქტიურად ეხმარებიან პარტიას და თითორბას ჩვენს სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა ხალხს, რომელიც თავდადებულად იბრძვის მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, მხურვალედ უყვარს თავისი მშობლიური საბჭოთა-საზღვაო ფლოტი, მისი სახელოვანი მეზღვაურები. მას მტკიცედ სწამს, რომ საბჭოთა მეზღვაურები სსრ კავშირის მთელ მეიარაღებულ ძალებთან ერთად სამეფოდ დაუანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საფარაჯოზე.

დღეკანდელმა დღესასწაულმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეეწყოს ხელი ჩვენს ქვეყანაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ზღვაოსნობის ცოდნისაკენ მისწრაფებას.

სტალინური მზრუნველობითა და საბჭოთა ხალხის მხურვალე ერთგულებით ჩვენი მეზღვაურები საჭირო მომენტში ისეთივე სპბრძოლო ეფექტიანობით შეასრულებენ სამშობლოს, დიდი სტალინის ყველა დავალებას, როგორც იცავდნენ ისინი თავიან დიდ-სამშობლოს სამამულო ომის მრისხანე წლებში.

გაუმარჯოს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!

ᲙᲐᲠᲯᲘᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲖᲔᲑᲐ

ამ დღეებში ჭიათურაში შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიონომთან არსებული ექვსთვიანი პარტიული სკოლის მსმენელთა გამოშვება. სკოლაში სწავლობდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას, სსრ კავშირისა და მსოფლიო გეოგრაფიას, სსრ კავშირის კონსტიტუციას.

სკოლა 28 კაცმა დამთავრა.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲓᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲥ ᲓᲬᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

საქართველოს სსრ საბჭოთა მწერლების სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ბად მოამზადა და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდად გადასცა ახალგაზრდა ოსი მწერლების ნაწარმოებთა კრებული, რომელიც მიძღვნილია სახელოვანი ლენინური კომკავშირის 30 წლისთავისადმი.

კრებული უახლოეს დღეებში გამოვა. მასში მოხვდებიან 20 ახალგაზრდა ავტორი.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲛᲝᲛᲐᲒᲬᲧᲝᲚ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲜᲐᲫᲘ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ, (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). სოფელ ქვემო მოაწყეს 50 ვატის სიმძლავრის რადიოკვანძი, რომელიც ათმოვლის 100 რადიოწერტილ. რადიოკვანძი მომსახურებას გაუწევს ამავე სოფლის კოლმეურნეთა ოჯახებს.

Ჯ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Ნ. ᲩᲮᲐᲕᲫᲔ ᲨᲐᲯᲐᲠᲔᲑᲨᲘ

ტაშკენტში საგასტროლოდ ჩავიდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები ლენინგრადი პრემიის ლაურეატი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯერეკ ამირანაშვილი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნადეჟდა ნარაძე.

მათ მონაწილეობა მიიღეს ორ სპექტაკლში — ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“ და რიხარდ ოპერა „ალეკოში“.

ქართველ მომღერლებს დამკვეთის საზოგადოებამ ძალიან შეეფერა ბრავო.

ᲞᲘᲠᲘᲤᲝᲜᲯᲔᲡᲘ

ტირიფონჯესის მშენებლობაზე მიღებულად 125.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო უნდა შესრულდეს.

წელს 7.250 მეტრ სიგრძის არხს გასჭრიან. საიდანაც ამოღებენ 88.000 კუბმეტრ მიწას. 20 აგვისტომდე უნდა შესრულდეს 21.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო.

10 აგვისტოდან არხზე მასობრივად გაჩაღდა მიწის სამუშაოები. პირველ საათ დღის 2.900 კუბმეტრზე 7.250 კუბმეტრი მიწის სამუშაო შესრულდა. სოფელ ბრონწლეთისა და ტირძნისის კოლმეურნეობათა წევრებმა მიცემული დავალება 7 დღით ადრე გაანადგურეს.

(„კომუნისტის“ კორ.)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲭᲝᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დამხმარე საწარმოთა შორის მაღალეფექტური მუშაობით გამოირჩევა სარემონტო-მექანიკური საწარმოს კოლექტივი, რომელმაც 111,6 პროცენტით შეასრულა 7 თვის გეგმა.

გასულ თვეში აქ გააკეთეს კედლის შესალესი ხელსაწყო, რომელიც მექანიკურად ამზადებს სილისა და კირის ხსნარს და ავტომატურად ღესავს კედელს. ამ ხელსაწყოს შეუძლია დღეში ათი კაცის შეცვლა.

ქარხნის სამსხმელო საამქრომ ათივესა „ჩტზ“ მარკის ტრაქტორების მუხლუხა მიმმართველი თუჯის თვლების ჩამოსხმა. ამ თვლებს ისეთი სიზუსტით აკეთებენ, რომ შემდგომ მოშანდაკებას არ საჭიროებენ.

ათვისების პროცესშია აგრეთვე ნედლი აგურის საპრესი დაზგა, რომელიც დიდად გაიუმჯობესებს აგურის ხარისხს და გააადვილებს მის დამზადებას.

(„კომუნისტის“ კორ.).

16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დარბაზში (მთავრობის სახლი, მე-5 სართული) მოწვეულია

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის“ პირველი ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია:

1. სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის“ სორგანიზაციათა ბიუროს ანგარიში.
2. საზოგადოების წესდების დამტკიცება.
3. სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის“ საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მეშახტეთა საკავშირო დღისათვის

ᲬᲧᲕᲐᲠᲘᲩᲔᲓᲨᲘ

ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘ

ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის სტანციის სახელობის შახტის კოლექტივი წარმატებით შრომობს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. შახტმა ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელი სამუშაოების 7 თვის გეგმა ჯერ კიდევ ოვლისის მეორე დეკადაში შეასრულა.

განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ ის უბნები, რომელთაც ნ. გეგუშვილი, ა. ჭირიქაძე, ტ. კვეკვესკირი და გ. სიმონიშვილი ხელმძღვანელობენ. შახტის ამ მოწინავე უბნების კოლექტივები ჩაბმული არიან მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და აღებული აქვთ ვალდებულება 29 აგვისტოსათვის შეასრულონ 9-10 თვის გეგმები.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესებულ მუშაობა მესამე და მეხუთე საეშელონატაცი უბნებშა. მეხუთე უბნის მეშახტეები (ეფროსოს ამხ. ნ. იაკოვი) საკუთარი ძალებით ამზადებენ ორ ახალ მძლავრ ლავას, რომელიც უახლოეს ხანში გადაეცემა საეშელონატაციოდ. ეს კი ერთიორად გაზრდის ქვანახშირის ამოღებას და ხელს შეუწყობს უბნის კოლექტივის ბრძოლას მეტი ქვანახშირისათვის.

ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲜᲐᲫᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲛᲔᲠᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

რამდენიმე წელიწადია, რაც ტყვარჩელში პირველობას ინარჩუნებს ბეროის სახელობის შახტის მესამე საეშელონატაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც კომუნისტი ინჟინერი მ. აფეტაკეა ხელმძღვანელობს.

უბნის მეშახტეები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ მოწოდებას და წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრეს. მეშახტეთა დღის მოახლოებასთან დაკავშირებით მეშახტეები სტახანოვიერ ვახტზე დგანან და დღიური დავალებებს დიდად აკმაყოფილებენ. ამის შედეგად უბნის მეშახტეებმა 2 აგვისტოს შეასრულეს ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელ სამუშაოთა 8 თვის გეგმა.

მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში დაწინაურდა ალეშენდთა ბრიგადა, რომელსაც წარჩინებული მეშახტე პ. ნაჩაკი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში არ არის ისეთი მეშახტე, რომელიც გეგმას გადაჭარბებით არ აკმაყოფილებდეს.

უბნის მოწინავე მეშახტეები მ. ხეანაშვილი, პ. პერშიაკოვი, ნ. ფარაკოვი და სხვები პირობას იძლევიან, რომ მეშახტეთა დღისათვის შეასრულებენ წლიურ გეგმებს.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲘᲩ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

მეშახტეთა დღისადმი მიძღვნილ სტახანოვიერ ვახტზე მდგომი ტყიბულელი მოწინავე მეშახტეები მაღალეფექტური შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ. სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის მბურველმა ს. ლაბინავამ გასული თვის დავალება 216 პროცენტით სამას ტონაზე მეტი ქვანახშირი მოიგნერია. წლიური გეგმა ხუთი თვით ადრე შეასრულეს ლენინის სახელობის შახტის მბურველებმა შ. აფხაიძემ და ი. ჯერბრიალოვმა. დაწინაურდა მრავალი ახალგაზრდა მეშახტე. ლენინის სახელობის შახტის მესამე უბნის ახალგაზრდა მტვირთავი შ. ფოცხვერია გეგმით გათვალისწინებული 8,2 ტონის ნაცვლად, ცვლაში 20-25 ტონა ქვანახშირს, ტვირთავს. აგვისტოს ექვს დღეში მან დატვირთა 122 ტონა ქვანახშირი და თვიური გეგმა შეასრულა. საქართნაკაფობრიკო სწავლობის სკოლადამთავრებული ვლ. სეხნიაშვილი ქვანახშირის მონგრევის დღიურ ნორმას 240-250 პროცენტით ასრულებს. ასევეა წარმატებას აღწევენ სტახანოვიელი მეშახტეები ი. ფალავანდიშვილი, დ. კუბლაშვილი, ა. ბაკურაძე და სხვები.

(„კომუნისტის“ კორ.)

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი

დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს თავის ტრადიციულ დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. ამ დღესასწაულის საყოველთაო სახალხო ხასიათი მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუღალავ ზრუნვას საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე, რომელთა განუყოფელ შემადგენელ ნაწილს სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხედრო-საზღვაო ფლოტმა აღმავლობისა და განმტკიცების დიდი გზა განვლო. განუზომლად გაიზარდა ფლოტის ტექნიკური აღჭურვილობა, მოამზადდა და აღიზარდა სამხედრო მეზღვაურების კადრები, რომლებმაც ჩინებულად იცოდნ სამრძოლო ტექნიკა და უსაზღვროდ ერთგულნი არიან სოციალისტური სამშობლისა.

ლენინ-სტალინის მტკიცებულებიდან ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები. ბოლშევიკური პარტია და მთავრობა ძალისა და სახსრებს არ ზოგავდნენ იმისთვის, რომ ჩვენს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს ჰყოლოდა მტაცეკი და ძლიერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი, „მისი ინტერესების შესაბამისი, ჩვენი დიდი საქმის ღირსი“ (ვ. მოლოტოვი).

ფლოტის აღდგენასა და მშენებლობას განუწყვეტელ და უმეცნიერ ხელმძღვანელობდა ჩვენი ბოლშევიკური პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი. ყველა პარტიული ყრილობა, მეათე ყრილობით დაწყებული, გულდასმით იხილავდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, მისი არმისა და ფლოტის განმტკიცების საკითხებს. ამხანაგი სტალინი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის სულისჩამდგმელია, წყნარი ოკეანისა და ჩრდილოეთის ფლოტების შექმნის ინიციატორია. დიდმა სამამულო ომმა დაადასტურა სტალინის ბრძნული განჭვრეტის მნიშვნელობა, სამშობლოს თავდაცვაში ამ ფლოტების როლი მისი შეფასება.

საბჭოთა ხალხმა გმირული შრომით შექმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რამაც ფართო პერსპექტივები გადაშალა ფლოტის მშენებლობისათვის. პირველი ორი ხუთწლიანის მანძილზე გემთმშენებელმა მრეწველობამ ფლოტს მისცა ოთხჯერ მეტი ხომალდები იმასთან შედარებით, რაც ავგუსტი იყო მეფის მთავრობის მიერ ათი წლის—1904-1914 წლების მანძილზე. მარტო 1939 წელს ჩვენმა ქარხნებმა აიგეს 112 საბრძოლო ხომალდი — თითქმის იმდენივე, რამდენიც აგებული იყო მეფის რუსეთში მთელი ათწლეულის მანძილზე. მზარდი ტემპით გრძელდებოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. მატერიალიდა ხომალდების გამოშვება, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევად იზრდებოდა ფლოტმა მიიღო სხვადასხვა ტიპის ფუალქვეშა ნავების მძლავრი შენაერთები. თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით ისინი არაფერ არ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ აჭარბებდნენ კიდეც კაპიტალისტური ქვეყნების ფუალქვეშა ნავებს. საბჭოთა ქვეყანას უფლება აქვს იამაყოს საკუთარ ქარხნებში შექმნილი ძლავრი კრეისერებით, სწრაფმავალი ნაღმისნენით და შრავალი სხვა საბრძოლო ხომალდებით.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა მისმა შეფმა — ლენინ-სტალინურმა კომკავშირმა. ყველაზე ძვირფასი, რაც კომკავშირმა ფლოტს მისცა, — მისი საუკეთესო შვილები, მეგზნებარე ახალგაზრდა პატრიოტები, რომელნიც უნარიანად და ღირსეულად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენი სახეგრო-საზღვაო ძალების სიმძლავრის ისტორიული გამოცდა იყო პიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონის წინააღმდეგ ომი.

დიდ სამამულო ომში გამოიჩინოთ და განმტკიცდა საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო თანამეგობრობა. სამხედრო მეზღვაურებმა გაამაძოთეს ხალხის ნდობა. მათ ამაყად ეშორთ და ღირსეულად გაატარეს თავიანთი საბრძოლო დროშა სასტიკ განსაცდელსა და სიძნელეებში.

სტალინური სტრატეგიული გეგმით სამხედრო-საზღვაო ფლოტს უნდა დაეცვა საბჭოთა არმის ფლანგები ზღვებიდან, დაერღვა მოწინააღმდეგის საკავრო ხომალდებისა და სამხედრო გემებისათვის, უზრუნველეყო საკუთარი საზღვაო კომუნიკაციების ეფექტურებელი მოქმედება. ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა. საომარი მოქმედების ვერც ერთ ასპარეზზე მოწინააღმდეგემ ვერ გაბედა ზღვიდან მიეტანა იერიში ჩვენი არმიის ფლანგებზე. ჩრდილოეთში, ფინეთის ყურის, ლადოგის ტბის რაიონებში, ყირიმში და სტალინგრადთან თავმოყრილ მტრის ჯარებს წითელვარსკვლავიანი ხომალდები საარტილერო დარტყმებს აგებედნენ. ჩვენი ფლოტის სამხედრო ხომალდებმა ათასობით ჰასიერეს მტრის ტრანსპორტები და საბრძოლო ხომალდები. სამხედრო მეზღვაურებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს გმირი ქალაქების სევასტოპოლის, ლენინგრადის, ოდესის, სტალინგრადის დაცვაში.

საბჭოთა არმიის ჯარებთან ურთიერთმოქმედებით სამხედრო საზღვაო ფლოტის ხომალდები და ნაწილები ანდდგურებდნენ მტერს ბალტიკაზე, შავ და ბარენცის ზღვებზე, ხოლო სამდინარო სამხედრო ფლოტილებმა ბრძოლებით გაიარეს დუნაი, დნეპრი, ვისლა, ოდერი და შპრე.

ამხანაგმა სტალინმა დიდად შეაფასა სამხედრო-საზღვაო ფლოტის როლი. „...საბჭოთა მეზღვაურებმა ომის ოთხი წლის განმავლობაში ასალი ფურცელი ჩასწერეს რუსული საზღვაო დიდების წიგნში. ფლოტმა ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე“.

საბჭოთა არმიასთან ერთად სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გაანადგურა იმპერიალისტური იაპონია. მტაცეკდ დამეცეოდა სსრ კავშირის ალაში სამხრეთ სახალინზე, პორტ-არტურში და კურილის კუნძულებზე.

სოციალისტური სამშობლოს დაცვის იდეამ მასობრივი გმირობა წარმოშვა. საბჭოთა ხალხს ხსოვნაში დარჩა გმირი სამხედრო მეზღვაურებისა და სამხედრო მფრინაველების ნ. ოსტროსკოვის, ბ. საფონოვის, დ. სიგოვის, ი. გოლუბეცის, ნ. ტოკარევის, მ. გაჯიევის, ც. კუნაკოვის, ვ. კუზნეცოვის, ი. ილიევის, ი. ელანსკის, ნ. კოლიმკინის, ნ. ლუბნინის და მრავალ სხვათა საგმირო სქმეები. მათში გასახარებელია საბჭოთა მეომრების საუკეთესო თვისებანი — მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი, საშობლოსადმი უანგარო სამსახური, მამაცობა, უშიშრობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მეზღვაურების საბრძოლო დამსახურებანი აღნიშნულია მაღალი ჯილდოებით. ფლოტის 513 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმრის წოდება. სამხედრო მეზღვაურებს გადაეცა 300 ათასზე მეტი ორდენი და მედალი, 200-ზე მეტი ხომალდი და ფლოტის ნაწილი ომის წლებში გაჰხდა ფუთელდროშოვანი და ორდენოსანი.

• • •

სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებაზია ჩვენი შეიარაღებული ძალების უძლეველი ძალის მთავარი წყარო.

ჩვენი არმიის ძალისა და ძლიერების წყაროა ის, რომ იგი ნამდვილად ხალხური არმიაა, სარგებლობს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით. ჩვენი არმია და ფლოტი ემყარებიან საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას, სხვა ხალხების პატიოსანმოსიერ ბრინციპს და იბრძვიან. მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძალისა და ძლიერების წყაროა ბოლშევიკური პარტიის — ყველა ჩვენი ბამოჯეგების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ხელმძღვანელობა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების წყაროა დიდი ბელადის, მსაზეგველობისა და მხედართთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა.

მტკიცეა, ბრძოლისუნარიანი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველთვის იყვნენ და ამჟამადაც არიან მეთაურთა პირველი თანაშემწენი ნაღმოსანი და პოლტიკური მოამზადებაში, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში, სამსახურის ყოველდღიურ მესრულებაში.

ომის წლებში კომუნისტები ყოველთვის წინ იყვნენ. ამჟამად კომუნისტები საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მოწინავენი არიან.

საბრძოლო გამოცდილებით გამდიდრებული, სამამული ომში თავისი საბრძოლო ტრადიციების გამოავლენით შეავიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ომისშემდგომ პერიოდში. სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, ისევე როგორც მთელი შეიარაღებული ძალებისთვის, ისტორიული მოვლენა იყო გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის სტუმრობა შავი ზღვის ფლოტში 1947 წლის აგვისტში. დიდი ბელადის გულთბილმა, ზრდელმა საუბრამ მეზღვაურებთან, მისმა მამობრივმა ზრუნვამ ჩვენი ფლოტის მეომრებზე, მისმა მისალმებამ და სიტყვებმა, მისმა ფრმატებამ უსაზრვებს კრეისერ „მოლოტოვის“ და მთელი შავი ზღვის ფლოტის პირად შემადგენლობას, ზრდაშელი შთაბეჭდილება დატოვეს, ღრდიული ალმავლობა გამოიწვიეს სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე და ნაწილებში. ყველა ფლოტისა და ფლოტილიის მატროსებმა, ზემდგომებმა, ოფიცრებმა, აღმირალებმა ამხანაგ სტალინის მიერ შავზზღველებისადმი მიმართული სიტყვები მიიღეს, როგორც მოწოდება ახალ-ახალი წარმატებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საზღვაო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

პარტიამ და მთავრობამ დიდი ამოცანები დასახეს სამხედრო-საზღვაო ძალების შემდგომი შშენებლობისა და განვითარების დარგში. „საბჭოთა ხალხს სურს კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი იხილოს თავისი ფლოტი. ჩვენი ხალხი ფლოტისათვის შექმნილს ჰხედ საბრძოლო ხომალდებს და ახალ ბაზებს“. (ი. ბ. სტალინი).

1950 წელს გათვალისწინებულია გემთმშენებლობის გადიდება ერთიორად 1940 წელთან შედარებით. ხუთწლედით დასახულია ახალი საბრძოლო ხომალდების, საზღვაო ბაზებისა და ნავსადგურების აგება. სამხედრო-საზღვაო ფლოტი მიიღებს ყველა ტიპის თანამეგზავრივ ხომალდებს.

ჩვენი საჭარჭოო ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები უფიდეს შემოქმედებითს შრომას აჰპარენ ფლოტის მშენებლობას. საუკეთესო მათგანთ სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი ზოდიაქ მიენიჭათ თვალსაჩინო მიღწევებისთვის იმ დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო მექანიზმების შექმნაში, რომლებიც აკრავენ ჩვენს თვალწუწედან სამშობლოს. სამხედრო მეზღვაურები განამტკიცებენ თავიანთ საბრძოლო ძლიერებას და ყოველ მომენტში მზად არიან ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მეომრული ვალი.

ადმირალი ა. გოლოვკო

ნეარიღი სახალინიდან

გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუას ეორონშელოვის სახელობის კოლმეურნეობის მეგრელოფრმა სოციალისტური შრომის ვგირაზ ზინაიდა ბოგათელიან სახალინიდან მიიღო წერილი.

„ბოგალოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს. მოგეწერეთ როგორი მოსაგები მიიღეს ბატონ ფიროსმან 1948 წელს. ბიდღეთი ამხანაგ კოლმეურნეებს, რომ ჩვენ, წყნაროკეანელნი მეზღვაურნი, ფხიზლად ეიცავთ თქვენს შვიდლმიან შრომას“... — წოდეთ ზინაიდას.

კოლმეურნე სტახანოველ ქალს არ დაუფიანებია მეზღვაურებისათვის მაესტრის გაგზავნა. იგი სწერს:

„ბმიდნარე ენოს ჩვენი არტელის კოლმეურნეები ინარმეთ ინსოსთვის, რომ საოოდ-მეურნეო მიწის თვითეული ჰექტარი გადაეცოთ მაღალმოსავლიანად რეკოლი, რომელსაც მე ვმეკლმძღვანელობ, ხალხთა სიყვარულ ბელადს დიდ სტალინს ფიცი ბისკი — ათი ჰექტარი ფარფოლის თვითეულ ჰექტარზე მოიწოოს 90 ცენტნერი სიმინდი. ჩემზეც მოგიგზავნია ერთი ჰექტარი მიწის ფარფოლი. ამ ნაკვეთში 140 ცენტნერ მარცვლეს მიეღებ.

ძვირფასო წყნაროკეანელო მეომრებო! შეგიძლიათ დარწმუნდეთენი ისეთ ამბავი, რომ სიტყვამ, რომელიც ამბანაგ სტალინს მივეცეთ, ღირსეულად შეასრულეთ“.

(სოფელ „ბბბ“)

„ილიჩის ნათურები“ კალოზე

თაფოგეანი კულტურების ლეწვის დაჩქარებისა და პურის დამზადების გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის მუსხის (ბაღანიხის რაიონი) კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ გაგეკეთმან მთელი რიგი ღონისძიებნი განახორციელეს.

ამკამად კოლმეურნეობის მთელი ძალები გადაყვანილია ლეწვაზე. დღეღამის განმავლობაში შეუჩერებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის ამ დღეებში კალოებზე, საწყობებსა და ბოსლებში მოსახელებმა გაიყვანეს ელექტრონაზნი. ახლა სოფელში კოლმეურნეობის ძირითადი სამუშაო უბნები განათებულია ილიჩის ნათურებით.

(„წითელი დროშა“)

ავეჯი მოსახლეობისათვის

„ბლავენსბანტოსში“ ფოთის განყოფილების ხე-ტყეს საკავრო საწყობთან არსებული სადურგლო-საავეჯო სამჩერო მოსახლეობისათვის უმეტეს კარგი ხარისხის საწერ მაგიდებს, შიფონერებს, წიგნის კარადებს, სკამებს, სადილიანი მაგიდებს, ამბიდებს ამრეოდეს ეგრეთვე სახლეობის მუშებელობისათვის ხის დეტალებს — ფანჯრისა და კარის ჩარჩოებს და სხვ.

ორგანიზებულია სახერხი სამჩერო, სადაც სწერამოებს მორების დახერხვა დაშენებულებებისა და მოქალაქეთა მეკვეთით.

(„მგზნებარე კოლხიდელი“)

ციგრუსების მყნობა

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრგან დაწყებულია ციტრუსოვანთა სახაფხულო მყნობა. მარტო ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებში დამყნობილია 90.000 ძირი ციტრუსი.

მახარიძის რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 700.000 ძირიდან დამყნეს 15.000 ძირი ლიმონი, 31.000 ძირი ფორთოხალი და 126.500 ძირი მანდარინი.

ლანჩხუთის რაიონში დამყნობილია 20.000 ძირი ციტრუსი, ცხაკაიას რაიონში — 21.300, ზოგდს — 49.500, ზუგდიდის რაიონში — 40.000 ძირი.

ციტრუსების მყნობა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ბათუმს, ქობულეთის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

თივისა და სილოსის დამზადება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გათიბულია 155.709 ჰექტარი ბუნებრივი და 9.488 ჰექტარი ნათესი ბალახი. ბუნებრივი ბალახის თიბვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 67,7 პროცენტით, ნათესისა—43,1 პროცენტით.

ბუნებრივი ბალახის თიბვის დაკავება წარმატებით ბრძოლა აწარმოებენ 14 რაიონში, მათ შორის ხაშურის, ქარელის, გორის, გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, თბილისის, მცხეთის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში.

ამბროლაურის რაიონში ნათესი ბალახი 50 ჰექტარის ნაცვლად 155 ჰექტარი გათიბა, ბოგდანოვკის რაიონმა ი 407 ჰექტარის ნაცვლად 425 ჰექტარი. ადიგენის რაიონში გეგმა 620 პროცენტით არის შესრულებული, ბოლნისისაში—187,5, გორის რაიონში — 158,8 პროცენტით.

სილოსის დამზადების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 37.1 პროცენტით, დამზადებულია 55.697 ტონა სილოსი. დაკავება შესრულებულია ქლეხორისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ასპინძის რაიონში გეგმა 95,1 პროცენტით არის განაღდებული, დმანისსაში — 90. წალკის — 83,1, ახალქალაქის რაიონში — 82,3 პროცენტით.

უკეთესად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებას

26 კომპისრის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

26 კომპისრის რაიონში თავმოყრილია თბილისის ბევრი წამყვანი საწარმო. მათი კოლექტივები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად სოციალისტური მეჯიბრეობის გაჩაღების შესახებ. თუ როგორ ასრულებენ რაიონის საწარმოოები სოციალისტური შეჯიბრებითი ნაკისრ ვალდებულებებს, ამ საკითხს მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა. აქტივის კრებაზე მოხსენებით „საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ“ გამოვიდა რაკომის მდივანი ამხ. ნ. გაბუნია.

— სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუბჯოლუსებითაც აიხსნება, რომ რაიონის საწარმოებმა ნახევარი წლის გეგმა 103,9 პროცენტით შეასრულეს, ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანადგებენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები — საინსტრუმენტო ქარხანა, ქაღალდის კომბინატი, წესვეკომბინატი, პურის ქარხანა და სხვა საწარმოები. მაგრამ არიან ჩამორჩენილი საწარმოებიც. ნაკისრ ვალდებულებას ვერ ანადგებენ რაიონის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა დიმიტროვის სახელობის ქარხანა, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ხორცკომბინატი და სხვები.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სოციალისტური შეჯიბრებისადმი არასაკმარ ხელმძღვანელობა. დიმიტროვის სახელობის ქარხანაში თანმიმდევრული, რიტმული მუშაობის დანერგვისა და განმტკიცებისა ნაკლებად გამოფენილია ეერიმობანა, რაც დაბალ სკემს შრომის ნაყოფიერებას, აუარესებს პროდუქციის ხარისხს. თვეს დადგეგ ქარხანა მოშეგებულად მუშაობს, ხოლო როცა თვის ბოლო მოახლოვდება, ერთბაშად ჩქარი ტემპით იწყებს მუშაობას, რათა ჩამორჩენა გამოასწოროს. წესქეელკომბინატს, მარგარინის ქარხნის და ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ზოგიერთ საამქროში ყველა მუშა როდი ჩაბმულა სოციალისტურ შეჯიბრებაში. მუშაობა უმრავლესობას არავითარი სოციალისტური ვალდებულება არა აქვს აღებული. ამ საწარმოთა მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურ სუფთაოო დადგებებს ვერ ასრულებს. ამათ შორის, რომლებიც დავალებებს ვერ ასრულებენ, სამწუხაროდ, ბევრ კომუნისტები და კომკავშრელებიც არიან. ზეთსაწყალ ქარხანაში, მაკარონის ფაბრიკაში, წესქვალკომბინატში, დიმიტროვის სახელობის ქარხანაში და ფეხსაცმლის ფაბრიკაში სოციალისტურ შეჯიბრებასა და სტახანოვურ მოძრაობას ფორმალურად ეკიდებიან. ჩაშლილია პროფესიათა შორის შეჯიბრება, მიღებულა სტახანოვური განრიგი, არ ხდება სოციალისტური შეჯიბრების მოწვევა ყოველდღიური აღიარებუა, მორჩილეთა გამოცდილების პოპულარიზაცია, წარჩინებულთა წახალისება. ეს ხელს უშლის სტახანოვური მოძრაობის აღმავლობას.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ნაკლებად იხილავენ სტახანოვური მოძრაობის საკითხებს, არ ამოწმებენ საამქროს, ბრიგადის, ცალკეული მუშის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას, შემჩნეულ ნაკლოვანებათა ადგილზე ადმოსაფხვრელად სათანადო დახმარებას არ უწევენ საფბარიკო-საქარხნო კომიტეტებს. სუსტად აშუქებენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას საწარმოთა კედლის გაზეთები. აგიტატორები მრავალ საწარმოში არ არიან შეჯიბრების ნამდვილი ორგანიზატორები.

კამათში ამხ. გაბუნიას მოხსენების გამო მრავალი ამხანაგი გამოვიდა.

— ჩვენ, — სთქვა სინსტრუმენტო ქარხნის დირექტორმა ამხ. ხითარიშვილმა,—ვალდებულება ვიკისრეთ 7 ნოემბრამდე შევასრულოთ წლიური დავალება. მაგრამ ჩვენს კოლექტივს მტის გაკეთება შეუძლია. გადავწყვეტეთ მობილიზება გავუკეთოთ ძველ ძალებს და წლიური დავალება 20 ოქტომბრისთვის შევასრულოთ.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველმა გამომწვევმა ამხ. ფეიქრიშვილმა აღნიშნა

— საჭიროა ფაროფოდ გავაზოგადოთ, ყველა მეშის კეთილნილებად გავხადოთ მოწინავეთა გამოცდილება. ამ მხრივ მტკი მუშაობა მორიგში საამქროს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის საკარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ხოსოტაშვილმა გაკიკრიკეა ქარხნის საგეგმო განყოფილება და ტექნიკური ხელმძღვანელობა. ცუდი დაგეგმვა მოიცდენსა და ჩამორჩენას იწვევს, ხოლო ჩამორჩენის სალაკვიდიაციოდ თვის ბოლოს იწყებენ ეერიმობანა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. პეკოფაროოვმა (დიმიტროვის სახელობის ქარხანა), ღვთისიაშვილმა (წესქვალკომბინატის დირექტორი), კალახდარიშვილმა (დიმიტროვის სახელობის ქარხნის საამქროს პარტბიუროს მდივანი), კიკანაძემ (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის თავმჯდომარე) და ფალავანდიშვილმა (ზეთსახდელი ქარხნის დირექტორი).

განხილულ საკითხზე აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

კურის დამზადების ჭეშმარიტ გადაჭრით უნდა გაძლიერდეს

პურეულის ადება დუშეთის რაიონში მასობრივად ვაჩაღდა ივლისის ბოლოს. კოლმეურნეობათა უმრავლესობა მოსავლის აღებას მომზადებული შეხვდა; სოფელ ლაფანეის, ბაკაქურეულის, ჯაშის, შუახევის, ჩანდიფრიანის, ოძისისა და ყარაიმანთაკარის კოლმეურნეობებმა 10-12 დღეში უდანაკარგოდ აიღეს ქერისა და ხორბლის კულტურები და პირველი განლეწეს, საუკეთესო ხარისხის მარცვლეულ სანელეწოფოს ჩაბარეს.

ჭინტლოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ხინჩაგაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ლაცარშვილი) ყველა კოლმეურნეგ იცის თუ რა სამეშო -აქვს მიჩენილი. ბრიგადებსა. რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები გ. ხინჩაგაშვილი, გ. თადაგაშვილი, ა. ხინჩაგაშვილი და სხვები ბკის დიღიერ ნორმებს ორმაგად ასრულებენ. ცალკეული რგოლები მთავრობან დამეკენშიც განაკრძალნენ ბკას. კოლმეურნეობაში შეუფერხებელ მუშაობს 5 კალო. კარგადაა მოწყობილი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა. შექმნილია მოზარეების საცალიერო ჯგუფი. თვითეული მოზარდი დღეში 15-18 კილოგრამ თავთავს კრეფს. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტორგანიზაცია ყოველდღიურად აჯამებენ შესრულებულ სამეშოს. აგიტატორები კოლმეურნეებს უამბობენ მოწინავეთა გამოცდილების შესახებ, ცოცხალი სიტყვით და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მათ. აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულებულ მეშოებში ბრიგადამ, რომელსაც ა. ხინჩაგაშვილი ხელმძღვანელობს, მიჩენილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშეალოდ 25 ცენტნერი ქერი და 22 ცენტნერი ხორბალი მიიღო. ასეთივე უბე მოსავალს იღებენ კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებიც.

სწრაფად და უდანაკარგოდ მიმდინარეობა პურეულის ადება ბაზლიეთის ჩარკვანაის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ქორეფაშვილი). აქ მოსავალი ასაღები იყო 383 ჰექტარზე, რაც უკვე მოამეული და გალეწილია.

რაიონში ამჟამად მუშაობს 5 სამკალი, 9 სალეწი და 7 ბრიგადი სალეწი მანქანა. მოჭრილია 516 კალო. მოამზადებული და დეზინფექციირებულია 146 ბეღელი. მოსავლის ადება ძირითადად ხელით სწარმოებს. მარცვლეული კულტურები ასაღები იყო 8.820 ჰექტარზე. 10 აგვისტოსათვის უკვე აღებულია 6.900 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 78,2 პროცენტით.

მოსავლის აღების საქმეში არის ნაკლოვანებანიც. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დანაკარგების წინააღმდეგ სუსტად ებრძვიან.

საკრამეულის ეორონშელოვის სახელობისა და ბრბოვის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში მოსაკალის ადება და ლეწვა დიდი ხანია დაიწყეს, მაგრამ, სად მოთავსონ მოსავალი, არ იციან: ბეღელები გაჩენილია მავნებლები, მთის დეზინფექციას კი რატომღაც აჭიანურებენ.

პურის დამზადებაში რაიონი ჩამორჩენილია. ამის მიზეზი ის არის, რომ ლეწვის ტემპი არაა საკმარისი. დალეწილია დღემდე აღებული მოსავლის მხოლოდ ნახევარი. ამას გარდა ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდის საქმეში უდარდელობას იჩენს. ახალი ოსების, ძველი ოსებისა და ინიან-ჯიკეურაულის კოლმეურნეობებში პურეულის მკა და ლეწვა კარგა ხანია დაიწყეს, ხოლო პურის ჩაბარებას ჯერ არ შესდგომიან.

პურის დამზადების გეგმის თვის დროზე შესრულებას ტრანსპორტს ნაკლებობაც უშლიდა ხელს. ახლა მანქანები საკმაო რაოდენობითაა.

ლეწვის ტემპის გაძლიერება და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების თვის დროზე შესრულება რაონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა ღირსების საქმეა.

ა. თოდაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

შავი ზღვის ფლოტის მუზეუმში

შავი ზღვის ფლოტის მუზეუმში დაარსებულია 80 წლის წინათ ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის დაცვის ლესნინშვილად. გერმანელმა ფაშისტმა მტაცებლებმა დაანგრიეს მუზეუმი. საბჭოთა მეომრებმა შესძლეს ძვირფასი ექსპონატების მხოლოდ ნაწილის გადარჩენა. ახლა მთავრდება მუზეუმის აღდგენა და მალე გაიხსნება მსაზეველთათვის.

მუზეუმის პირველ დარბაზებში მოთავსებულია სურათები, გრავიურები და დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ, თუ როგორ იცავდნენ სლავები შავ ზღვაზე თავის უფლებებს კიევის სამთავროს დროს.

ფართოდ არის ნაჩვენები პეტრე დიდის ეპოქა, თურქების განდევნა რუსეთიდან და რუსეთის ფლოტის აზოვის და შავ ზღვაზე გამოსვლა.

განყოფილებაში, რომელიც უჭირავს ქალაქის პირველ გმირულ დაცვას, გეგმის „კონსტანტინეს“ (სადაც სამხედრო სამეოს სხოლმა იყო 1854 წლის სექტემბერში) მოდელს გვერდით ომმართველია გამარჯვების სამრეოლო დროშები.

ფართოდ არის ასახული მეზღვაშეი სევასტოპოლის ოთხ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და სამოქალაქო ომში, ლენინის, სტალინისა და ბოლშევიკური პარტიის როლი საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის შექმნასა და განმტკიცებაში.

შესანიშნავია სურათები, ქანდაკებანი, დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ დიდი სამამული ომის ამბებს. აქ არის განთქმული შავზღველი მფრინაველის ივანოვის, კორობეინის, ზურნუშოის პორტრეტები, სურათი ხუთი სევასტოპოლელის გმირობის შესახებ.

მუზეუმის სპეციალური განყოფილება უჭირავს საბჭოთა ბრძოლეტეოლის ოპერაციებს. აქ ბრძოლილია სურათები და ფოტოსურათები, რომლებიც უჭერენ სპეტ-გორაზე იერიშს, ქალაქ სევასტოპოლში წითელი დროშის აღმართვას, მთავარ ბაზაში ფლოტის გემების დაბრუნებას. სურათებზე ალბეჭდილია ისტორიული მომენტი — ამხანაგ ხტალინის კრეისერ „მოლოტოვზე“ ყოფნა გასული წლის 19 აგვისტოს.

ახალი მოსამზადებელი საამქრო მაუდ-კამეოლის ფაბრიკასთან

თბილისის მაუდ-კამეოლის ფაბრიკასთან შენდება ახალი ორსართულიანი მოსამზადებელი საამქრო, რომელიც მამდინარე წლის 1 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს. ამჟამად დამთავრებულია საამქროს კედლების ამოყვანა, პირველი სართულის გადახურვა რკინა-ბეტონნთ. სწარმოებს მეორე სართულის გადახურვა, რაც 15 სექტემბრისათვის უნდა დამთავრდეს.

დღეისათვის მშენებლობის გეგმა 65 პროცენტით არის შესრულებული, მაგრამ სამონტაჟო სამუშაოების გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე დამთავრება საფრთხეშია მასალების მიუღებლობის გამო.

სამონტაჟო მასალებით და მოწყობილობით მშენებლობის უზრუველყოფა დავალებული აქვს თბილისის მაუდ-კამეოლის ფაბრიკის მაზეგველობისა და მხედართთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა.

...როვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციის 1948 წლის 12 აგვისტოს საღამოს სხდომაზე

1. „მარშალის გეგმა" და დუნაი

საბჭოთა დელეგაციას თავის მხრივ სურს პასუხი გასცეს იმ შენიშვნებზე, რომლებიც დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტის მე-5 მუხლის კრიტიკოსებმა გააკეთეს. ამავე დროს შევეცდები დღევანდელ ჩემს გამოსვლაში შევეხო იმ შენიშვნებს, რომლებიც ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა გააკეთა, და იმ შენიშვნებს, რომლებიც გააკეთა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა.

თავის გამოსვლაში ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელი, სხვათა შორის, შეჩერდა „მარშალის გეგმაზე". არსებითად რომ ვთქვათ, შეიძლებოდა ამ თემას სრულიად არ შევეხებოდით, ვინაიდან ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და ცალკე სახელმწიფოების, მათ შორის ამ კონფერენციაზე დამსწრეთა უმრავლესობის, თვალსაზრისი და პოზიციები კარგად არის ცნობილი. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ამ საკითხს, ვინაიდან ბ-ნმა პიკმა დაიმოწმა ვითომდა აქ გაკეთებული შენიშვნა, რომ ეს გეგმა საბოლოოდ დამღუპველი აღმოჩნდება, და ამას დასძინა, რომ ინგლისელი ხალხი, როგორც მან სთქვა, სიხარულითა და ერთსულოვნობით მონაწილეობს ამ გეგმაში. ეს თვით ინგლისელი ხალხის საქმეა და ჩვენი საქმე არ არის შევუდგეთ ამ საკითხის განხილვას. მაგრამ ზედმეტი არ იქნება ჩვენც მოვაგონოთ ზოგიერთი რამ „ამ გეგმის" შესახებ.

ბ-ნი პიკი საქმეს იმგვარად სახავდა, რომ „მარშალის გეგმა" ვითომდა ალტრუისტულ მიზნებს ისახავს, რომ იგი მიზნად ისახავს დაეხმაროს ევროპის აღდგენას. ბ-ნი პიკი ცდილობდა საქმე იმგვარად წარმოედგინა, რომ „მარშალის გეგმამ" თითქოს უნდა გააბედნიეროს ევროპა. ასეთი თვალსაზრისი სრულიად არ არის სწორი. ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, ისეთი ავტორიტეტული პირის გამოსვლის მიხედვით, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე ბ-ნი დოდი, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინათ ასიგნებათა კომისიაში სთქვა:

„მე ვფიქრობ, რომ თქვენ,—ბ-ნმა დოდმა მიმართა იმ პირთ, რომლებიც მას უსმენდნენ ამ კომისიაში,—მოწმენი იქნებით სასაქონლო ბაზრებზე ერთ-ერთი უდიდესი კრახისა, თუ ეს პროგრამა შეიკვეცა". ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე გაფრთხილებას იძლეოდა, რომ საჭიროა დამტკიცდეს „მარშალის გეგმით" გათვალისწინებულ ასიგნებათა პროგრამა, გაფრთხილებას იძლეოდა, რომ, თუ იგი შეიკვეცა, მაშინ ამერიკის სასაქონლო ბაზრებს კრახი მოუვათ. ეს ძალიან მჭევრმეტყველური განცხადებაა, იგი გარკვეულ შუქს ჰფენს იმ მოტივებს, რომლებითაც, სხვათა შორის, ხელმძღვანელობენ „მარშალის გეგმის" სულისჩამდგმელნი.

ამ განცხადების მიხედვით „მარშალის გეგმა" არ ისახავდა ალტრუისტულ მიზნებს, „მარშალის გეგმა" განკუთვნილია იმისათვის, რომ შეეცადოს აღკვეთოს ის ეკონომიური გართულებანი, მან უფრო მეტიც სთქვა—ის ეკონომიური კრახი, რომელიც მოელის სასაქონლო ბაზრებს იმ შემთხვევაში, თუ „მარშალის გეგმით" გათვალისწინებული პროგრამა შეიკვეცა. რით აიხსნება ეს, რა საფუძველი ჰქონდა მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილეს ბ-ნ დოდს ასე ეთქვა ასიგნებათა კომისიაში? საფუძველი მეტად სერიოზული იყო. ეს საფუძველი განისაზღვრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ანალიზით, ბრუნვისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ 1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან სხვადასხვა საქონლის ექსპორტი შეადგენდა 5,1 მილიარდ დოლარს, ნაცვლად საშუალოდ წელიწადში 3,6 მილიარდი დოლარისა წინა პერიოდში 1921-დან 1939 წლამდე, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საერთო პროდუქციის ექსპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამ პერიოდში განისაზღვრებოდა 6,6 პროცენტით, წინა პერიოდის 4,3 პროცენტის ნაცვლად.

აშკარაა, რომ საქონლის ექსპორტი მცირე როლს როდი ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში. ეს საქონელი რომ არსად გასაღებულიყო, მათთვის რომ რაღაც ბაზრები არ გამონახულიყო, ეს, უეჭველია, გამოიწვევდა იმ კრახს, რომელიც თავს დაატყდებოდა ამერიკის ბაზრებს და რაზედაც ბ-ნი დოდი ლაპარაკობდა. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკის წარმოების ზოგიერთ დარგში მუშების 20 პროცენტამდე მუშაობს სწორედ ექსპორტზე. ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობაში ექსპორტის შემცირებას არ შეიძლება სერიოზული მოშლის საფრთხე არ შეექმნა ამერიკის ეკონომიკისათვის.

თუ არ შევეხებით ამ საქმის მეორე მხარეს, სახელდობრ იმის ცდას, რომ „მარშალის გეგმის" დახმარებით უზრუნველჰყონ შეერთებული შტატებისათვის გაბატონებული გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „მარშალის გეგმა" იმ ამოცანასაც ისახავს, რომ ამერიკული საქონლისათვის უზრუნველჰყოს სათანადო ბაზრები. დასავლეთი ევროპა „მარშალის გეგმით" სესხს იღებს, რომ იყიდოს ამერიკული საქონელი, რომელიც ვერ საღდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის შეერთებული შტატების შინაურ ბაზარზე. საქმის ეს მხარე სავსებით ცხადია. მე შევეცდები მოკლედ გიჩვენოთ, თუ რა შედეგები მოსდევს ამას უკვე ახლა.

ფაქტია, „მარშალის გეგმა" მიმართულია იქითკენ, რომ ეს ამოცანაც გადასჭრას — უზრუნველჰყოს ამერიკული ექსპორტისათვის სათანადო ბაზრები. თუ „მარშალის გეგმას" განზრახვა აქვს ასეთ მდგომარეობაში ვისმეს სიკეთე მოუტანოს, ეს შეეხება მხოლოდ ამერიკულ მონოპოლიებს, რომლებსაც არ სურთ საკუთარი კაპიტალით რისკის გაწევა ექსპორტის დასაფინანსებლად, და უზრუნველჰყონ თავისათვის მოგება, ცდილობს რა მიიღოს სუბსიდიები, სხვანაირად რომ ვთქვათ, თავისი რისკი დაფაროს გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

ამ მხრივ „მარშალის გეგმა" ამერიკულ მონოპოლიებს ემსახურება. ეს საქმის ერთი მხარეა.

საქმის მეორე მხარე: „მარშალის გეგმა" წარმოადგენს ეკონომიურ დიქტატს ეკონომიურად უფრო სუსტი ქვეყნების მიმართ. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ „მარშალის გეგმით" ეგრეთ წოდებული „დახმარების" აღმოჩენით ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ ტვირთზიდვის სულ მცირე 50 პროცენტი განახორციელოს ამერიკის ფლოტმა და არა დასავლეთ ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს ფლოტებმა, რომლებიც ფიქრობენ ამ დახმარების მიღებას. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოთა ფლოტებს მძიმე მდგომარეობაში აყენებენ.

ამ დღეებში შეიძლებოდა წაგვეკითხა ლონდონის პრესაში დაბეჭდილი ცნობა, სადაც ლაპარაკია, რომ ჰოლანდიამ დაარღვია „მარშალის გეგმის" ის მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ ამ გეგმის ფარგლებში საქონლის სულ მცირე 50 პროცენტი გადაზიდოს ამერიკის გემებმა. თურმე 9 გემიდან, რომლებიც ჰოლანდიამ აირჩია ამგვარი საქონლის გადასაზიდად, მიმდინარე თვეში არც ერთი არ იყო ამერიკული. როგორ უპასუხეს ამას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა? აი როგორ: ყველა გადასახდელი, რაც შეერთებულ შტატებს უნდა გადაეხადა ჰოლანდიისათვის სესხის სახით 9-დან 21 ივლისამდე, შეერთებულმა შტატებმა შეაჩერეს ამ მუხლებით გათვალისწინებული სანქციების თანახმად.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ „მარშალის გეგმა" აგებულია ორმხრივ შეთანხმებებზე. ჩვენ ახლა ვხედავთ, თუ რას წარმოადგენენ ასეთი შეთანხმებანი. მათი მონაწილენი ამბობენ: თქვენ სესხს მიიღებთ ამა და ამ პირობით, თუ თქვენ ამ პირობებს დაარღვევთ — სესხს ვერ მიიღებთ. ხოლო როგორია ეს პირობები—ცნობილია. ჰოლანდიის მაგალითიც მოწმობს ამას საკმაოდ დამაჯერებლად.

აი რატომ არის „მარშალის გეგმა" ეკონომიური დიქტატი ეკონომიურად უფრო სუსტი ქვეყნებისადმი. ეს დიქტატი გამოიხატება იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც თანხმდებიან „მარშალის გეგმის" პირობებით მიიღონ სესხი, პირდაპირ მოთხოვნათა წაყენებით, რომ ამ ქვეყნებმა გაატარონ საგარეო და საშინაო პოლიტიკის ესა თუ ის გზა.

ალბათ ყველას ახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველთა ნაციონალური ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის კოლდერის განცხადება სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში, სადაც კოლდერი პირდაპირ დაემუქრა ევროპის ქვეყნებს და კერძოდ ინგლისის ლეიბორისტულ მთავრობას, როცა სთქვა, რომ თუ ევროპის ქვეყნებმა ხელი არ აიღეს მრეწველობის ნაციონალიზაციის შემდგომ პოლიტიკაზე, მათ უარი უნდა ეთქვათ ეკონომიურ დახმარებაზე. ცნობილია, რომ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა ასეც მოიქცა. მას უარი უნდა ეთქვა რურის მსხვილი მრეწველობის სოციალიზაციასა თუ ნაციონალიზაციაზე, რასაც ინგლისის მთავრობა გააფთრებით იცავდა 1945-46 წლების პერიოდში და რაც ინგლისის მთავრობის ერთ-ერთ ძირითად საპროგრამო პუნქტად ითვლებოდა, და ცნობილია, რომ მას ბოლოსდაბოლოს მოუხდა ამ პუნქტის დღის წესრიგიდან მოხსნა იმის გამო, რომ ეს განზრახვა არ შეესაბამებოდა „მარშალის გეგმის" მოთხოვნებსა და პირობებს.

ფაქტია, რომ „მარშალის გეგმა", მაგალითად, აწესრიგებს საქონლის მიწოდებას, მინიმუმამდე დაჰყავს იმ სამრეწველო მოწყობილობის მიწოდება, რაც უაღრესად საჭიროა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ომისაგან დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ფაქტია ისიც, რომ „მარშალის გეგმით" მომავალი ამერიკული დახმარების თვითეულ ქვეყანაში იქმნება ადგილობრივი ვალუტის განსაკუთრებული ფონდი „მარშალის გეგმით" მიწოდებული საქონლის გაყიდვით მიღებული თანხიდან. ამ ფონდის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ შეერთებული შტატების ადმინისტრატორის ნებართვით. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში სავალუტო საკითხების მოწესრიგება, ე. ი. სავალუტო კურსის განსაზღვრა მთლიანად „მარშალის გეგმის" ადმინისტრატორთა ხელში ვარდება. და შემთხვევითი არ იყო ჰოფმანის ამა წლის 22 ივლისის განცხადება, რომელშიც მან ევროპაში ჩასვლის შემდეგ სთქვა, რომ, თუ მიღწეულ არ იქნა „სპეციფიკური შედეგები" და შემუშავებულ არ იქნა, როგორც მან სთქვა, შემდგომი პროგრესის გეგმა, მაშინ იგი, ჰოფმანი, ვერ ურჩევს ამერიკის კონგრესს შემდგომი დაბანდება მოახდინოს ევროპის აღდგენის საქმეში.

მე არ ვიცი, როგორ ესმით ეს განცხადება ჩემს ოპონენტებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს განცხადება— დოდის, კოლდერის და ბოლოს მარშალის გეგმის მთავარი ადმინისტრატორის ჰოფმანის განცხადებები, არავითარ ეჭვს არ სტოვებენ, რომ, მართალია, ის, ვინც ამბობს, რომ „მარშალის გეგმას" საერთო არაფერი აქვს იმ ქვეყნებისათვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენის ამოცანასთან, რომლებსაც ეს დახმარება სჭირდებათ, რომ იგი სრულიად სხვა მიზნებს ისახავს.

რასაკვირველია, ჩვენ აქ არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისია ვართ და არც სოციალური და ეკონომიური საბჭო, რომ უფრო დაწვრილებით გავაშუქოთ ეს პრობლემა, მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა გავიხსენოთ ყველა ეს ფაქტი მხოლოდ იმისათვის, რომ გავაქარწყლოთ ის შთაბეჭდილება, რომელიც სურდა ბ-ნ პიკს აქ მოეხდინა, როცა ცდილობდა დავერწმუნებინეთ, თითქოს „მარშალის გეგმა" დუნაის ქვეყნების მიმართ ამერიკული ქველმოქმედების ერთ-ერთი გამოხატულებაა. მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ ვიცით, „მარშალის გეგმის" გამოჩენა აიხსნება არა მარტო ეკონომიური მოტივებით და ამასთან ისეთი ეკონომიური მოტივებით, რომლებიც მიუღებელია იმ სახელმწიფოებისათვის, ვინც პატივს სცემს თავის სახელმწიფო სუვერენიტეტს, არამედ პოლიტიკური მოტივებითაც.

პარიზის საზავო კონფერენციაზე, ორი წლის წინათ, ვ. მ. მოლოტოვი ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ის თანამშრომლობა, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიან სახელმწიფოებს შორის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას, როცა ამ სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტი არ იბღალება უცხო ქვეყნების ჩარევით. მაგრამ არის საერთაშორისო „თანამშრომლობის" მეორე ტიპიც, რომელიც ემყარება არა ეს-ეს არის მოყვანილ პრინციპს, არამედ ემყარება ერთი ან რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს გაბატონებულ მდგომარეობას სხვა ქვეყნების მიმართ, რომლებიც ამრიგად ამ ძლიერი სახელმწიფოებისადმი დამორჩილებულ მდგომარეობაში ვარდებიან და ესპობათ დამოუკიდებლობა პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში.

მე არ ვფიქრობ, აქ საჭირო იყოს კიდევ ერთხელ აღინიშნოს ხაზგასმით, რომ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის პირველი სახე, როცა ისინი გამოდიან როგორც თანასწორუფლებიანი მხარეები, ძირეულად განსხვავდება მეორე სახისაგან და ერთადერთი მისაღები სახეა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უფრთხილდებიან თავიანთ სუვერენიტეტს და ეკონომიურ დამოუკიდებლობას და რომელთაც სურთ, რომ მათს სუვერენიტეტსა და ეკონომიურ დამოუკიდებლობას პატივი სცენ სხვა სახელმწიფოებმა.

აი ამიტომ მე ვფიქრობ, ეს ექსკურსი, რომელიც დღეს წამოიწყეს და ურომლისოდაც იოლად წავიდოდით, და არ დავცილდებოდით იმ საკითხს, რომელიც უშუალოდ გვაინტერესებს კონვენციის პროექტის მე-5 მუხლით, ექსკურსი, რომელიც წამოიწყო ინგლისის დელეგაციამ, იკისრა რა „მარშალის გეგმის" დამცველის როლი, არ არის დამაჯერებელი. ეჭვი არ არის, რომ არ შეიძლება დავემყაროთ „მარშალის გეგმას" საკუთარ მოთხოვნებში დუნაის კომისიის შემადგენლობის შესახებ. ამისათვის არ არის საფუძველი. ერთიმეორესთან სრულებით არ არის დაკავშირებული და არ არის არავითარი საჭიროება დავაკავშიროთ ეს საკითხები.

2. რისთვის სჭირდება ზოგიერთ სახელმწიფოს დუნაის კომისია

ამასთან დაკავშირებით მე მსურს შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე, სახელდობრ იმ მოტივებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ზოგიერთი სახელმწიფო, როცა ცდილობდა მონაწილეობა მიეღო დუნაის კომისიაში. ვფიქრობ, ბ-ნი ტიერი არ დამემდურება, თუ ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვაქვეყნო ერთი დოკუმენტი — სამახსოვრო ბარათი, რომელიც ბ-ნმა ტიერიმ 1938 წლის 4 მაისს გადასცა ბ-ნ კომნენს, რუმინეთის წარმომადგენელს სინაიში. ამ დოკუმენტში აღნიშნულია შემდეგი: „საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლება მოითხოვს საერთაშორისო ორგანოს დატოვებას, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყვნენ არადუნაის სახელმწიფოები". შემდეგ ამ მისწრაფების მიზნის განმარტებაა. ბარათში ნათქვამია: „დუნაისპირა სახელმწიფოების ზოგჯერ შეუთანხმებელი ინტერესების შეთანხმების მიზნით".

ამრიგად, საფრანგეთის მთავრობა 1938 წელს ცდილობდა მონაწილეობა მიეღო დუნაის კომისიაში, რათა იქ შეესრულებინა იმ დუნაისპირა სახელმწიფოების შეუთანხმებელი ინტერესების რეგულატორის როლი, რომელთაც თითქოს არ შეეძლოთ თავიანთი ინტერესების შეთანხმება, შეესრულებინა ასეთი არბიტრის როლი, ამ შეუთანხმებელი ინტერესების ასეთი შემრიგებლის როლი. იქნებ 1938 წელს ამას ერთგვარად ამართლებდა იმ სახელმწიფოთა და მთავრობათა ხასიათი, რომლებზედაც ლაპარაკი იყო, მაგრამ 1938 წლიდან დუნაის ბევრმა წყალმა ჩაიარა და, როგორც აქ სამართლიანად სთქვეს, ბევრი რამ შეიცვალა და უწინარეს ყოვლისა შეიცვალნენ თვით დუნაისპირა სახელმწიფოები, რომლებსაც თვითონ შეუძლიათ შეათანხმონ „მათი შეუთანხმებელი ინტერესები".

თუ 1938 წელს დუნაის კომისიაში საფრანგეთის მთავრობის შესვლის ერთ-ერთი მიზანი იყო შეეთანხმებინა დუნაისპირა სახელმწიფოების შეუთანხმებელი ინტერესები, ახლა საფრანგეთის მთავრობას შეუძლია აღარ იკისროს ასეთი ზრუნვა, ასეთი ზრუნვისაგან შეიძლება გავათავისუფლოთ კიდევ სხვა არადუნაის სახელმწიფოები, ვინაიდან, საჭიროების შემთხვევაში, დუნაისპირა სახელმწიფოები თვითონაც შესძლებენ თავი გაართვან ამ ამოცანას.

მეორე საკითხი, — როგორ ცდილობდნენ ზოგიერთი სახელმწიფოები გამოეყენებინათ დუნაის კომისია წარსულში? ამ შემთხვევაში მინდა დავიმოწმო ა. წ. 20 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ბიულეტენში გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლება", ჰედსელის სტატია, სადაც იგი აკრიტიკებს ავსტრიას და ამბობს: „ავსტრია ცდილობდა ეს კომისია გამოეყენებინა დუნაიზე თავისი უპირატესობის დამყარების და ყველა ქვეყნისათვის ნაოსნობის თავისუფლების პირობათა მოსპობის იარაღად".

მე არ მინდა არსებითად განვიხილო საკითხი, მართალია თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ბიულეტენი თავის ბრალდებებში ავსტრიის მიმართ. ეს ცალკე საკითხია. მინდა მხოლოდ მოგაგონოთ ეს სენტენცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ა. წ. 20 ივნისის ბიულეტენიდან იმ ვარაუდთან დაკავშირებით, რომელსაც დღეს განსაკუთრებით ენერგიულად იცავდა ამერიკის წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვდა დუნაის კომისიის შემადგენლობაში ავსტრიის დაუყოვნებლივ შეყვანას. ხომ არ დაემუქრება ისევ დუნაის კომისიას ის საფრთხე, რაზედაც ლაპარაკობდა ჰედსელი, როცა ახასიათებდა ავსტრიის ტენდენციებს, რომელიც წარსულში ცდილობდა გამოეყენებინა დუნაის კომისია დუნაიზე თავისი უპირატესი მდგომარეობის დამყარების იარაღად?

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა საწინააღმდეგო ინტერესებით ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც ცდილობს მონაწილეობა მიაღებინოს დუნაის კომისიაში ამა თუ იმ სახელმწიფოს.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ამ საკითხს სწორად სწყვეტს სსრ კავშირის მიერ აქ წარმოდგენილი პროექტის მე-5 მუხლი. ჯერ ერთი, საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ საჭიროა დუნაის კომისია შედგენილ იქნას დუნაისპირა სახელმწიფოებისაგან, ე. ი. ისეთი სახელმწიფოებისაგან, რომელთა ტერიტორია თუნდაც ერთი ნაპირით ეხება დუნაის, და რომ ამისათვის არის ყველა საფუძველი. მე უკვე მოვიყვანე ეს საფუძვლები ჩემს გამოსვლებში საერთო დისკუსიის დროს და აღვნიშნე საერთაშორისო სამართლის როგორც პრაქტიკა, ისე თეორია, რომელიც შეეხება საერთაშორისო მდინარეებს, აღვნიშნე საერთოდ აღიარებული დებულება საერთაშორისო სამართლისა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო მდინარეებზე ნაოსნობის რეჟიმის მოწესრიგების საქმე თვით სანაპირო სახელმწიფოების საქმეა. მე მინდა მოგაგონოთ პანამერიკული კონფერენციის ის ორი გადაწყვეტილება, რომლებიც მიღებულ იქნა 1889 და 1933 წლებში და რომლებშიც არაორაზროვნად არის ნათქვამი, რომ ასეთ მდინარეებზე ნაოსნობის მოწესრიგება თვით სანაპირო სახელმწიფოების საქმეა. მე შემიძლია მოგაგონოთ 1856 წლის კონვენცია, რაზედაც დიდი გულთბილობით ლაპარაკობდა პარიზის კონფერენციაზე სენატორი ვანდენბერგი. ამ კონვენციის ძალით უნდა დაწესდეს სანაპირო სახელმწიფოთა მუდმივი კომისია. თვით პრინციპი — ნაოსნობის რეგულირება ისეთ მდინარეებზე, როგორიც არის დუნაი, სრულიად არ არის საეჭვო არც საერთაშორისო სამართლის თეორიის თვალსაზრისით, არც საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის თვალსაზრისით. ასეც იყო 1921 წლამდე. მაგრამ მარტო ასეთი როდია საერთოდ აღიარებული პრინციპი, ასეთია თანამედროვე პრაქტიკაც სხვა საერთაშორისო სანაოსნო გზების მიმართ. პანამის არხს აწესრიგებენ მხოლოდ სანაპირო სახელმწიფოები, ე. ი. პანამა და ამერიკის შეერთებული შტატები. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის პრინციპი, რომელიც 1921 წელს, ვერსალის იმ ეპოქის საერთო ხასიათთან დაკავშირებით, დარღვეული იყო, უნდა აღსდგეს. და 1921 წლის დამოწმება უსაფუძვლოა იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობის ლოგიკასაც და საერთაშორისო სამართლის თეორიისაც.

3. დუნაისპირა სახელმწიფოთა შესახებ

იბადება კითხვა, სახელდობრ რომელი სახელმწიფოები არიან დუნაისპირა სახელმწიფოები? ინგლისის დელეგატმა ერთგვარი ეჭვიც კი გამოსთქვა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი დუნაისპირა სახელმწიფო იყოს და რომ თითქოს უკრაინის ტერიტორიის გარდა, როგორც მან სთქვა, არ არის რუსეთის სხვა ტერიტორია, რომელიც მართლაც დუნაიზე გადიოდეს. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი პიკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, რამდენადაც უკრაინის სს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილია, შეუძლებელია, რომ უკრაინაც და საბჭოთა კავშირიც დუნაისპირა ქვეყნებად მივიჩნიოთ. ბ-ნმა პიკმა თავისი გამოსვლა დაამთავრა იმით, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას სთხოვა ვუჩვენოთ თუნდაც მცირეოდენი ნაკვეთი არაუკრაინული ტერიტორია, რომელიც დუნაისპირა ტერიტორია იყოს და, მაშასადამე, ამართლებდეს საბჭოთა კავშირის უფლებას — მონაწილეობა მიიღოს დუნაის კომისიაში. ეს მეტად უცნაური განცხადებაა. ეს მით უმეტეს უცნაურია, რომ ამ საკითხს, თუმცა მან პარიზის საზავო კონფერენციაზე შეეხნენ რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების 34-ე მუხლის განხილვისას, დღემდე არასოდეს არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია და არც შეიძლებოდა გამოეწვია. ამასთან დაკავშირებით მე მინდა მოგაგონოთ ბ-ნ ვანდენბერგის განცხადება პარიზის კონფერენციაზე. ციტატა მომყავს 1946 წლის 10 ოქტომბრის სტენოგრაფიული ჩანაწერის რუსული ტექსტის მიხედვით.

„ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო — სსრ კავშირი აგრეთვე დუნაისპირა სახელმწიფოა". მაშინ ეს არავითარ ეჭვს არ იწვევდა. საერთოდ ორი წლის წინათ ბევრ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებოდათ, ახლა კი უეცრად ჩნდება ეჭვები — გეოგრაფიულიც, პოლიტიკურიც, ეკონომიურიც და ლოგიკურიც. მაშინ არავითარი ეჭვი არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ რომ სსრ კავშირი მართლაც დუნაისპირა, სანაპირო სახელმწიფოა, და არა მარტო იმიტომ, რომ უკრაინის სს რესპუბლიკას, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის, დიდი მანძილი უჭირავს დუნაის ნაპირზე, არამედ იმიტომაც, რომ გარდა უკრაინის ტერიტორიისა, დუნაის ნაპირზე ტერიტორიის ისეთი ნაწილიც მდებარეობს, რომელიც უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში არ შედის. მე მხედველობაში მაქვს დუნაის ნაპირის სწორედ ის ნაწილი, რომელიც უჭირავს ნაკვეთს დუნაისა და მდინარე პრუტის შესართავთან. ბ-ნმა პიკმა მთხოვა დავეხმარო ამ გეოგრაფიული საკითხის გარკვევაში და რუკაზე ვუჩვენო თუნდაც მცირეოდენი ტერიტორია, რომელიც უკრაინის ტერიტორია არ იყოს და ამავე დროს დუნაის ნაპირზე მდებარეობდეს. ხალისით გავაკეთებ ამას. ეს ის ნაკვეთია, რომელიც მდებარეობს დუნაისა და მდინარე პრუტის შესართავის პუნქტთან. თუ საჭიროა რუკა, სიამოვნებით წარვუდგენთ მას ინგლისის დელეგაციას. გეოგრაფიაში და იმ რუკების მხრივ, რომლებიც სსრ კავშირს ეხება, საერთოდ ჩვენი პარტნიორები სიძნელეებს განიცდიან ხოლმე. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე 1946 წელს ბევინმა მოულოდნელად განაცხადა, უკრაინა დუნაის სახელმწიფო არ არისო, და თუ დაშვებულია გამონაკლისი უკრაინისათვის, რომელიც მოწვეულია დუნაის კონფერენციაზე, რატომ არ შეიძლება გამონაკლისი დავუშვათ ასეთივე არადუნაის სახელმწიფოსათვის, როგორიც საბერძნეთიაო. ამაზე ვ. მ. მოლოტოვმა უპასუხა: როცა საბერძნეთი დუნაისპირა სახელმწიფო იქნება, მას, რასაკვირველია, მიიწვევენ დუნაის კონფერენციაზეო. მოითმინეთ, სთქვა ბევინმა, ხომ მოწვეულია უკრაინა, როცა იგი დუნაისპირა სახელმწიფო არ არისო? საჭირო გახდა მაგიდაზე რუკა დაგვედო, რომ ეჭვები გაგვეფანტა. ასეა ახლაც.

ბ-ნ პიკს, ვგონებ, ეჭვი არ ეპარება, რომ უკრაინა დუნაისპირა სახელმწიფოა.

ბარანოვსკი. პირიქით, მან სთქვა, რომ დარწმუნებულია ამაში.

ვიშინსკი. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამ მხრივ უიღბლო გამოდგა. მე ვუპასუხე ბ-ნ პიკს შეკითხვაზე და მივუთითებ მას ტერიტორიის იმ ნაკვეთზე, რომელიც უკრაინის რესპუბლიკის შემადგენლობაში არ შედის და ამავე დროს უეჭველად მდებარეობს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მე არ ვიცი, რა რუკა გამოიყენა ბ-ნმა პიკმა — მცირე მასშტაბისა თუ დიდი მასშტაბისა, მაგრამ ეს სულ ერთია. არის რუკები, რომლებზეც შეიძლება ამის ჩვენება. მაგრამ მე ჯერ კიდევ არ მინახავს არც ერთი ისეთი რუკა, სადაც შეიძლებოდეს ვიპოვოთ მდინარე დუნაიზე თუნდაც ერთი წერტილი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდეს და საშუალებას აძლევდეს მას იფიქროს, რომ დიდ ბრიტანეთსაც საბჭოთა კავშირის თანაბარი უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს დუნაის კომისიაში. იქნებ ბ-ნმა პიკმა გამისწოროს შეცდომა ამ მხრივ? მე მადლობელი ვიქნები.

4. დუნაის კომისიაში ავსტრიისა და გერმანიის მონაწილეობის შესახებ

ახლა ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამერიკის წარმომადგენელ ბ-ნ რადიუსის გამოსვლის გამო. იგი შეეხო სამ საკითხს — ავსტრიის შესახებ, გერმანიის შესახებ და არადუნაის სახელმწიფოთა შესახებ. არადუნაის სახელმწიფოებისა და დუნაის კომისიაში მათი მონაწილეობის უფლების შესახებ მე უკვე გავეცი პასუხი. მათ ასეთი უფლება არ შეიძლება ჰქონდეთ და არც აქვთ. დამრჩენია ვთქვა ავსტრიისა და გერმანიის შესახებ. ბ-ნი რადიუსი ასე მსჯელობს: 1946 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებაში არის მესამე პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ ავსტრია დაშვებული იქნება დუნაის საკითხის შემდგომ კონფერენციებზე მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი. ბ-ნი რადიუსი ასე მსჯელობს: ამ პუნქტში ლაპარაკია კონფერენციაში ავსტრიის მონაწილეობაზე და ამის მიხედვით არ შეიძლება უარი ეთქვას ავსტრიას დუნაის კომისიაში მონაწილეობაზეო. მაგრამ, ჯერ-ერთი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ პუნქტით გათვალისწინებულია არა ავსტრიის მონაწილეობა კონფერენციაში, არამედ ის, რომ ავსტრიამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ამ კონფერენციაში. ჩვენ დავთანხმდით მოგვეწვია ავსტრია ამ კონფერენციაზე სათათბირო ხმით. აძლევს თუ არა ეს ავსტრიას დუნაის კომისიაში მონაწილეობის უფლებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ აძლევს, და აი რატომ. თუ დუნაის კონფერენციაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობისათვის, ე. ი. სრულუფლებიანი მონაწილეობისთვისაც კი ავსტრიას საფუძველი არ მოეპოვება იმ შეთანხმებათა ძალით, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით შესდგა, მით უმეტეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ავსტრიას, დუნაის კონფერენციის არასრულუფლებიან წევრს, შეუძლია მოითხოვოს მონაწილეობა, სრული და თანაბარი მონაწილეობა დუნაის კომისიაში, რომელიც კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. ამ საკითხზე ორი აზრი შეუძლებელია. არ შეიძლება ეჭვი არსებობდეს, რომ ავსტრიასთან ხელშეკრულების მოწესრიგებამდე — ეს, აქვე უნდა ითქვას, დამოკიდებულია არა მარტო საბჭოთა კავშირზე, თუმცა რამდენადმე საბჭოთა კავშირზეც არის დამოკიდებული, არამედ ჩვენს სხვა პარტნიორებზეც, — მანამდე, სანამ, როგორც ნათქვამია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 1946 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების მესამე პუნქტში, ხელშეკრულების საკითხი მოწესრიგებული არ იქნება და ავსტრია კონვენციაში მონაწილეობის უფლებას არ მიიღებს, მისი წარმომადგენელი დუნაის კომისიის შემადგენლობაში ვერ შევა. იგი ამ უფლებას მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც მოწესრიგდება ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი. ჩვენ სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ის, რომ ავსტრია მონაწილეობას ვერ მიიღებს როგორც სრულუფლებიანი წევრი იმ კონფერენციაში, რომელიც კონვენციას ამტკიცებს, და ვერ შეუერთდება კონვენციას მანამდე, სანამ არ მოწესრიგდება მასთან ხელშეკრულების საკითხი. როგორ შეიძლება ლაპარაკი დუნაის კომისიაში ავსტრიის მონაწილეობაზე ამ წინასწარი პირობის განუხორციელებლად. საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ავსტრიის მონაწილეობას დუნაის კომისიაში, ვინაიდან მიაჩნია, რომ ავსტრია ნამდვილად დაინტერესებულია დუნაით და, როგორც დუნაისპირა სახელმწიფო, უნდა შევიდეს დუნაის კომისიაში, მაგრამ ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ წინასწარ ის საკითხები უნდა მოწესრიგდეს, რომლებიც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, როგორც ნათქვამია ოთხი მინისტრის გადაწყვეტილებაში. მოუწესრიგებელია გერმანიის აქტივების საკითხი, მოუწესრიგებელია მეტად მტკივნეული საკითხი ლტოლვილთა შესახებ, ეგრეთ წოდებულ ადგილგადანაცვლებულ პირთა შესახებ, პოლკოვნიკ როგოჟინის ნახევრადბანდიტური და ნახევრადფაშისტური ეგრეთ წოდებული კორპუსის შესახებ. უნდა მოწესრიგდეს ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ავსტრიის ხელშეკრულებასთან. ამიტომ სწორი არ არის საკითხის ისე დაყენება, როგორც აყენებენ ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის დელეგაციები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ, რომ ავსტრია დაუყოვნებლივ შეყვანილ იქნას დუნაის კომისია-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციის 1948 წლის 12 აგვისტოს საღამოს სხდომაზე

(დასასრული)

...ში. ეს ძალიან კარგი იქნებოდა, დაბრკოლებები რომ არ იყოს ჩვენს წინასწარ შეთანხმებაში, რომელიც დაკავშირებულია იმის აუცილებლობასთან, რომ მოწესრიგდეს საკითხი ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ, რომლის მოწესრიგებაც ჩვენ გვსურს. ჩვენ ეს დავამტკიცეთ ლონდონში, სადაც საბჭოთა მთავრობა ამ მხრივ ძალიან დიდ დათმობებზე წავიდა, მაგრამ ჩვენი პარტნიორების წინააღმდეგობას წააწყდა. გვეუბნებიან, რომ ავსტრია სუვერენული სახელმწიფოა, გვეუბნებიან, რომ ოთხი სახელმწიფოს 1946 წლის 28 ივნისის შეთანხმება სამოკავშირეო საბჭოს შესახებ ავსტრიას საერთაშორისო შეთანხმებათა დადების უფლებას აძლევს, რომ ეს სუვერენული სახელმწიფოს პრეროგატივაა. მაგრამ ამავე ოთხმა სახელმწიფომ გააკეთა შენიშვნა, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ავსტრიის ხელშეკრულების საკითხის მოწესრიგებას, როგორც დუნაის საქმეებში ავსტრიის სრულუფლებიანი მონაწილეობის წინასწარ პირობას, ხოლო დუნაის კომისიაში მონაწილეობა დუნაის საქმეებში მონაწილეობის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მომენტია. ამიტომ, თუ ლოგიკას დაიცავთ, თქვენ უნდა გაჰყვეთ იმ გზას, რომელსაც საბჭოთა დელეგაციის პროექტი სახავს.

რაც შეეხება გერმანიას, საკმარისი იქნება ითქვას, რომ დუნაის კომისიაში გერმანიის მონაწილეობა აგრეთვე დაკავშირებულია მის მონაწილეობასთან დუნაის კონვენციაში, ეს უკანასკნელი კი პირდაპირ დამოკიდებულია მთლიანად გერმანიის საკითხის მოწესრიგებაზე. მე ვფიქრობ სპეციალურ განმარტებას არ მოითხოვს ის ფაქტი, რომ ამ კონფერენციაზე როდი შეიძლება მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი, თუნდაც დუნაის მიმართ. გერმანიის პრობლემა, როგორც ეს ყველასათვის გასაგებია, გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ჩვენი დუნაის კონფერენციის პრობლემა. გერმანიის პრობლემა მოწესრიგებულ უნდა იქნას პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად და სახელდობრ გერმანიის შესახებ პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების მესამე პუნქტის შესაბამისად, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს საქმეა. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ინგლისის დელეგაციის შესწორებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს საკითხი დუნაის კონვენციაში გერმანიის მონაწილეობის შესახებ მოწესრიგებული იქნება ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით. მაგრამ ეს საკითხი, დუნაის საქმეებში გერმანიის მონაწილეობის საკითხი, დუნაის პრობლემის გარემოებათა ფარგლებს სცილდება. ეს საკითხი საერთოდ გერმანიის პრობლემის ნაწილია და არ შეიძლება მოწესრიგდეს კერძო კონფერენციაზე, როგორიც არის დუნაის კონფერენცია. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ამერიკის დელეგაციის წინადადებას ახალი აბზაცის თაობაზე იმის შესახებ, რომ „გერმანია დაშვებული იქნება სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის დუნაის სამდინარო კომისიაში მას შემდეგ, რაც ძალაში შევა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, ან ამ დრომდე, ამ კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით", — ამ საქმესთან დამოკიდებულება არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ ამჟამად გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხს როდი ვწყვეტთ.

ამ საფუძველზე საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია იმ შესწორებებისა, რომლებიც გუშინ წარმოადგინეს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის დელეგაციებმა, როგორც დუნაის კომისიის შემადგენლობაში არადუნაის სახელმწიფოთა შეყვანის, ისე დუნაის კომისიის შემადგენლობაში ავსტრიის შეყვანის შესახებ. საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია აგრეთვე ამერიკის წინადადებისა იმის შესახებ, რომ ჩვენს კონვენციაში ახლავე ჩაიწეროს მუხლი, რომელშიც ლაპარაკია გერმანიის უფლებებზე დუნაის მიმართ, ვინაიდან ეს ნაადრევია. მაგრამ როცა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდება, ბუნებრივია, წამოიჭრება ის საკითხები, რომლებზეც აქ ლაპარაკი იყო, მაგრამ ისინი წამოიჭრება არა მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხებისაგან განცალკევებით, არამედ როგორც მთლიანად გერმანიასთან სამშვიდობო მოწესრიგების განუყოფელი პრობლემა.

საბჭოთა დელეგაცია მოყვანილი მოსაზრებებით წინააღმდეგია მე-5 მუხლის შესწორებებისა, რომლებიც სამმა დასავლეთმა დელეგაციამ შემოიტანა.

დე გასპერის მთავრობა იარაღს უგზავნის ათენის ხელისუფალთ

რომი, 13 აგვისტო. (საქდესი). როგორც გაზეთ „უნიტას" კორესპონდენტი ტარანტოდან იუწყება, პოლიციის რაზმები გარს შემოერტყნენ ნავსადგურსა და მის მომიჯნავე უბნებს, რათა უზრუნველჰყონ ათენელი ხელისუფლებისათვის განკუთვნილი სამხედრო მასალის დატვირთვა. სამხედრო მასალის დატვირთვის ვადას სასტიკად უმალავენ მოსახლეობას, რომელიც გადაჭრით წინააღმდეგია იმისა, რომ იტალიის იარაღი საბერძნეთის მეფის არმიას გაუგზავნონ.

გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საქდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობისადმი მიძღვნილი სტატია. „საერთაშორისო ვაჭრობის მხრივ, — სწერს გაზეთი, — თითქოს უეჭველია, რომ შეერთებულმა შტატებმა აშკარად და შეუწყნარებლად დაარღვიეს რუსეთთან დადებული საზეიმო შეთანხმება". გაზეთი იმოწმებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1937 წლის 4 აგვისტოს სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლითაც შეერთებული შტატები დათანხმდნენ არ განეხორციელებინათ დისკრიმინაციული ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მხრივ. ამ შეთანხმებას ჯერჯერობით სრული ძალა აქვს. მისი შეწყვეტის შესახებ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია არც ერთ მთავრობას. და მაინც შეერთებულმა შტატებმა ცალმხრივად ჩამოუშვეს საკუთარი რკინის ფარდა, რათა შეეწყვიტათ ექსპორტი საბჭოთა კავშირში. შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა ჰარიმანმა 26 მარტის პრეს-კონფერენციაზე ზრდილობიანი ფორმით უარი სთქვა ამ საერთაშორისო შეთანხმებაზე, განაცხადა რა, რომ საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში პოტენციური სამხედრო მასალის ექსპორტის ლიცენზიებს არ გასცემს, თუ „წინასწარ არ მოეთათბირა სამხედრო სარდლობას". გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკის შედეგად საბჭოთა კავშირში შეერთებული შტატების ექსპორტი მაისში 200 ათას დოლარამდე შემცირდა, მაშინ როცა ამა წლის პირველ კვარტალში ექსპორტის საშუალო თვიური ღირებულება დაახლოებით 7 მილიონ დოლარს შეადგენდა. იმავე თვის განმავლობაში შეერთებული შტატების იმპორტმა საბჭოთა კავშირიდან 7,3 მილიონი დოლარი შეადგინა, ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის მასალების ჩათვლით, როგორიცაა მარგანეცი და ქრომის მადანი. „არ შეიძლება სადაოდ მივიჩნიოთ ის უცილობელი ფაქტი, — აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, — რომ ამერიკის ექსპორტის შეზღუდვა ნიშნავს საერთაშორისო შეთანხმებაზე უარის თქმას".

„ნიუ-იორკ პოსტმა" ეს სტატია შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: „ისინი ამბობენ, რომ არ შეიძლება ენდო საბჭოთა კავშირს, მაგრამ სწორედ შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს ხელშეკრულება".

გერმანიის პროფკავშირები მოითხოვენ ბერლინში ორვალუტიანი სისტემის გაუქმებას

ბერლინი, 13 აგვისტო. (საქდესი). 11 აგვისტოს ბერლინში შესდგა პროფკავშირული მუშაკების კონფერენცია, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო.

კონფერენციაზე გამოვიდა გერმანიის გაერთიანებული თავისუფალი პროფკავშირების მეორე თავმჯდომარე გერმან შლიმე. მან მოითხოვა ბერლინის დასავლეთ სექტორებში ეკონომიური კრიზისის ლიკვიდაცია, მთელ ბერლინში საბჭოთა საოკუპაციო ზონის ვალუტის შემოღებისა და საბჭოთა საოკუპაციო ზონის ეკონომიკასთან ბერლინის დამმუშავებელი მრეწველობის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების გზით.

ახლანდელი საბჭოთა საოკუპაციო ზონის ოლქი, განაცხადა შემდეგ შლიმემ, წინათ ბერლინის საქონლის 59 პროცენტს ხმარობდა, და ბერლინში დამუშავებული ნედლეულის 45 პროცენტი წარსულში ამ ოლქიდან შემოდიოდა. საბჭოთა საოკუპაციო ზონამ უკვე დასდო დიდძალი სავაჭრო ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან. ამრიგად, ამ ზონასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით შესაძლებელი იქნება ბერლინის მზა პროდუქცია გადაიცვალოს სხვა ქვეყნების აუცილებელ ნედლეულში, ნახევარფაბრიკატებსა და საქონელში.

გერმანიის გაერთიანებული თავისუფალი პროფკავშირების ფუნქციონერთა კონფერენციამ მუშებს, მოსამსახურეებს, საწარმოო საბჭოებსა და ტექნიკურ მუშაკებს სთხოვა შეიტანონ წინადადებანი და შესწორებანი საბჭოთა საოკუპაციო ზონის ეკონომიური განვითარების ორწლიანი გეგმისადმი, რომელიც ამჟამად მუშავდება.

ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალნი არღვევენ პოტსდამის დეკლარაციასა და შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებებს იაპონიის დემოკრატიზაციის საკითხზე

ტოკიო, 11 აგვისტო. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, იაპონიაში ამერიკის საოკუპაციო ჯარების სარდალმა გენერალმა მაკარტურმა ამა წლის 22 ივლისს იაპონიის პრემიერ-მინისტრ ასიდას გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა — დაუყოვნებლივ ჩატარებულიყო ძირიანად გადასინჯვა კანონისა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის აეკრძალათ გაფიცვების მოწყობა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება.

ამ წერილის შესაბამისად იაპონიის მთავრობამ 30 ივლისს მოიწონა პროექტი სპეციალური ბრძანებულებისა გაფიცვებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების აკრძალვის შესახებ. ამავე დროს გაუქმებულ იქნა წინათ დადებული ყველა კოლექტიური ხელშეკრულება. ბრძანებულება ითვალისწინებს რეპრესიულ ღონისძიებებს მუშებისა და მოსამსახურეების წინააღმდეგ, რომლებსაც გაფიცვების ჩატარებისათვის დააპატიმრებენ ერთი წლით ან დააჯარიმებენ 32 ათასი იენის რაოდენობით.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა წარმომადგენელმა იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირო საბჭოში გენერალ-მაიორმა კისლენკომ 11 აგვისტოს გენერალ მაკარტურს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„პოტსდამის 1945 წლის 26 ივლისის დეკლარაციაში და შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში—„ძირითადი პოლიტიკა იაპონიის მიმართ კაპიტულაციის შემდეგ" გათვალისწინებულია, რომ იაპონიაში უნდა მოისპოს ყველა დაბრკოლება, რაც ხელს უშლის იაპონელ ხალხში დემოკრატიული ტენდენციების აღორძინებასა და განმტკიცებას, გარანტირებულ უნდა იქნას კრებების, ასოციაციების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, და რომ იაპონელ ხალხს ხელს შეუწყობენ დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების ჩამოყალიბებაში.

შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკური გადაწყვეტილება „იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციის პრინციპების" შესახებ სპეციალურად ითვალისწინებს იაპონიის პროფკავშირთა უფლებას — მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, იაპონიის დემოკრატიზაციასა და იმ მოღვაწეობაში, რაც მიმართულია იაპონელი მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად, აგრეთვე იაპონელი მუშების გაფიცვის უფლება და კრძალავს პოლიციის ან მთავრობის სხვა ორგანოების გამოყენებას მუშებისადმი თვალყურის სადევნებლად, გაფიცვების ჩაშლას ან პროფკავშირთა კანონიერი მოღვაწეობის ჩახშობას.

მიუხედავად ამისა, ღონისძიებანი, რომლებსაც ამჟამად იაპონიაში ახორციელებენ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალნი, აგრეთვე იაპონიის მთავრობა დაბრკოლებას უქმნიან იაპონელ ხალხში დემოკრატიული ტენდენციების აღორძინებასა და განმტკიცებას და ზოგიერთ შემთხვევაში ეს ღონისძიებანი მიმართულია დემოკრატიული ორგანიზაციების, კერძოდ, პროფკავშირთა მოღვაწეობის ჩასახშობად.

იაპონიის პროფკავშირული და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები თავის კანონიერ უფლებათა გამოყენებისას ყოველგვარ დაბრკოლებასა და შეზღუდვას ხვდებიან. პროფკავშირთა მოღვაწეობის თავისუფლების დარღვევა, პროფკავშირულ მოღვაწეობაში მონაწილეობის მიღებისათვის რეპრესიულ ღონისძიებათა ფართო გამოყენება პროფკავშირთა წევრებისა და ხელმძღვანელების მიმართ, სამუშაოდან მასობრივი დათხოვნა, დაპატიმრება და საკატორღო სამუშაოების მისჯა იაპონიაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. პრემიერი ასიდა თავის ამა წლის 10 ივლისის განცხადებაში პირდაპირ იმუქრებოდა გაფიცვების მონაწილეთა დაპატიმრებას.

უკანასკნელ დროს ღონისძიებებს იღებენ იმისათვის, რომ სათანადო საკანონმდებლო აქტებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით დააკანონონ პროფკავშირებისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ჩახშობის შემოღებული პრაქტიკა.

22 ივლისს თქვენ პრემიერ-მინისტრ ასიდას გაუგზავნეთ წერილი მითითებით — დაუყოვნებლივ შეიცვალოს კანონი სახელმწიფო მოსამსახურეების შესახებ, აეკრძალოთ მათ გაფიცვებში მონაწილეობა და მთავრობასთან კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება. ამასთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობამ უკვე გამოსცა სპეციალური ბრძანებულება გაფიცვებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების აკრძალვის შესახებ.

ამ მიმართულებით მოქმედებენ ადგილობრივი საოკუპაციო ხელისუფალნიც. მაგალითად, ოსაკის პოლიციის სამმართველომ 13 ივლისს ამერიკის 25-ე დივიზიის სამხედრო პოლიციის უფროსის მოწერილობის საფუძველზე გამოაქვეყნა ინსტრუქცია მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების ახალი წესების შესახებ, რომელთა არსი ის არის, რომ პოლიციის მეთაურს უფლება აკრძალოს ყოველგვარი მიტინგი ან დემონსტრაცია, ანდა დააპატიმროს ამ ღონისძიებათა მონაწილეები და ხელმძღვანელები.

იმის გამო, რომ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა და იაპონიის მთავრობის ეს ღონისძიებანი ეწინააღმდეგებიან შორეული აღმოსავლეთის კომისიის ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მტკიცედ მოვითხოვ გაუქმდეს ამა წლის 22 ივლისის თქვენი მითითებანი სახელმწიფო მოსამსახურეთა შესახებ კანონის და ამასთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე გაუქმებულ იქნას ოსაკის პოლიციის სამმართველოს ზემოთმოხსენებული ინსტრუქცია, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან პოტსდამის დეკლარაციას და შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს „კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის მიმართ ძირითადი პოლიტიკისა" და „იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციის პრინციპების" შესახებ".

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესზე

სტოკჰოლმი, 12 აგვისტო. (საქდესი). 11 აგვისტოს სტოკჰოლმში გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მე-19 კონგრესი. კონგრესს დაესწრნენ სსრ კავშირის, ინგლისის, არგენტინის, ფინეთის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, უნგრეთის, შვეიცარიის, შვეციის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების დელეგატები.

ორი დღის განმავლობაში კონგრესზე დისკუსიაა გამართული მსოფლიოს ჩემპიონ ბოტვინიკთან მატჩის კანდიდატის შესარჩევად 1949 წლის მომავალი ტურნირის მოწყობის შესახებ. არგენტინის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა ტურნირი მოეწყოს არა 10, არამედ 12-14 ან 15 კაცის მონაწილეობით. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ნაიდორფსა და შტალბერგს სტოკჰოლმის ტურნირზე გამარჯვებულთა ხუთეულში მოხვედრის შანსი არა აქვთ. ამავე დროს არგენტინის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, რომ 1949 წლის ტურნირი ბუენოს-აირესში მოეწყოს. საბჭოთა დელეგაციამ გადაჭრით გაილაშქრა არგენტინის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მე-18 კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. არგენტინის დელეგაციის წინადადებას მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატები. საბჭოთა დელეგაციამ აგრეთვე გააპროტესტა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ ამ კონგრესზე საკითხების განხილვის საპროცედურო წესების დარღვევა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ არგენტინის დელეგაციას უფლება მიანიჭა ხმა მისცეს ბრაზილიისა და ურუგვაის დელეგატების მაგიერ, რომლებიც კონგრესს არ ესწრებიან. ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ციტერშტეინი საკითხების განხილვის დროს ბელგიისა და ლუქსემბურგის ხმებით სარგებლობს.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 12 აგვისტო. (საქდესი). დღეს შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-18 ტური. მწვავედ მიმდინარეობდა შტეინერ-ბრონშტეინის პარტია. საბჭოთა ოსტატმა, რომელიც შავებით თამაშობდა, მალე მოიპოვა უპირატესობა და 42-ე სვლაზე გაიმარჯვა.

შტოლც-საბოს პარტიაში თეთრებმა მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწიეს.

კოტოვ-ბეკის, ნაიდორფ-ფლორის, ტარტაკოვერ-ტრიფუნოვიჩის, ლილიენტალ-რაგოზინის და ბოლესლავსკი-პირცის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ბონდარევსკი-გლიგორიჩის პარტია გადაიდო, ბონდარევსკის მოგების შანსი აქვს. იანოვსკი-შტალბერგისა და ლუნდინ-პახმანის პარტიები გადადებულია რთულ მდგომარეობაში. 18 ტურის შემდეგ ტურნირის მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: ბრონშტეინსა და საბოს აქვთ 12,5 ქულა თვითეულს, ბოლესლავსკის—11,5, კოტოვს — 11, ლილიენტალს — 10,5, ფლორსა და ტრიფუნოვიჩს — ათ-ათი, ნაიდორფს, — 9,5, ბონდარევსკის, შტალბერგს, გლიგორიჩსა და პირცს — ცხრა-ცხრა და სხვ.

დუნაის კონფერენციაზე

დუნაის კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვა

ბელგრადი, 12 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს გენერალური კომიტეტი განაგრძობდა დუნაის კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვას.

უკრაინის დელეგატმა ს. დემჩენკომ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლების მიერ შეტანილი შესწორებანი კონვენციის საბჭოთა პროექტის მე-5 მუხლისათვის, რომელიც ამ კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს, მიუღებელია, რადგან ითვალისწინებენ არადუნაისპირა ქვეყნების მონაწილეობას დუნაის ნაოსნობის მართვაში. „დუნაისპირა ქვეყნები ვერ დათანხმდებიან, რომ მათს სანაოსნო გზებს მართავდეს კიდევ სხვა ვინმე, ვისაც ეს გზები არ ეკუთვნის", — სთქვა დემჩენკომ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიტანეთის დელეგატი ჩ. პიკი, აქებდა რა მარშალის გეგმას, იუნრრას დახმარებას ადარებდა მას, დემჩენკომ მოაგონა სხდომას, რომ იუნრრა უწინარეს ყოვლისა იყო ორგანიზაცია, რომელიც ომით დაზარალებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევაში მოკავშირეთა ერთობლივი მონაწილეობის პრინციპს ემყარებოდა. იუნრრას სახსრები იმ ქვეყნების პროპორციულად თანაბარი შენატანებისაგან შესდგებოდა, რომლებსაც ოკუპაცია არ განუცდიათ: თვითეულმა მათგანმა იუნრრას ფონდში შეიტანა წლიური ნაციონალური შემოსავლის ერთი პროცენტი. ამასთან იუნრრას წესდებაში სსრ კავშირის ინიციატივით შეტანილ იქნა სავალდებულო პირობა, რომლის თანახმად დახმარების მიმღები ქვეყნები თავიანთ ტერიტორიაზე თვითონ ადგენდნენ ამ დახმარების განაწილების ფორმასა და წესს.

— ამ დიდმნიშვნელოვანმა პირობამ,—სთქვა დემჩენკომ, — ომში დაზარალებული ქვეყნები დაიცვა იმისაგან, რომ იუნრრა შეერთებულ შტატებსა და ინგლისს თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

დემჩენკომ მოაგონა სხდომას, რომ, მიუხედავად ამისა, იუნრრას ასეთი გამოყენების ცდები იყო მთელი მისი საქმიანობის მანძილზე. მაგალითად, ომითა და ოკუპაციით ყველაზე მეტად დაზარალებული უკრაინისა და ბელორუსიისათვის მიწოდების ოდენობა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა ზეგავლენით დაწესებულ იქნა 100 მილიონი დოლარით ნაკლები, ვიდრე საბერძნეთისათვის. დასასრულ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ინგლისის მთავრობის დახმარებით მიაღწია იუნრრას ლიკვიდაციას, რითაც გზა გაუკაფა იმას, რომ ევროპის ქვეყნებისათვის თავისი ეკონომიური „დახმარება" პოლიტიკური და ეკონომიური მიზნით გამოეყენებინა.

— თუ, — სთქვა უკრაინის დელეგატმა, — ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებად ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს მიაჩნიათ „მარშალის გეგმის" მსგავსი ღონისძიებანი, ჩვენთვის ეს ღონისძიებანი უეჭველად მიუღებელია. ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რომ დუნაის კომისია ასეთი მიზნებისათვის გამოიყენონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

დასასრულ დემჩენკომ განაცხადა, რომ, უკრაინის სსრ დელეგაციის აზრით, დუნაის კომისიაში მხოლოდ დუნაისპირა ქვეყნებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ბულგარეთის დელეგატმა პ. პელოვსკიმ გადაჭრით უარჰყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მოსაზრება, თითქოს შეერთებულ შტატებს უფლება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ დუნაის მართვაში, რამდენადაც შეერთებული შტატები იზიარებენ პასუხისმგებლობას ევროპაში მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. მან განაცხადა, რომ მშვიდობის თვითმარქვია „გარანტების" საქმიანობას პრაქტიკულად მოსდევს შორს გამიზნული ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. ამის მაგალითს წარმოადგენს საბერძნეთი.

შეეხო რა ინგლისის დელეგატის მითითებას იმაზე, თითქოს დასავლეთ სახელმწიფოებს განზრახული ჰქონდეთ ეკონომიური დახმარება გაუწიონ დუნაისპირა ქვეყნებს, ბულგარეთის დელეგატმა მოაგონა სხდომას, რომ „მარშალის გეგმის" მიხედვით გაწეული ეგრეთ წოდებული „დახმარება" იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ჩარევას ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში. „ჩვენი ხალხი ისევე, როგორც ყველა დემოკრატიული ხალხი, უარს ამბობს ასეთ „დახმარებაზე", — სთქვა პელოვსკიმ.

დუნაის კომისიაში ავსტრიის შეყვანის შესახებ დასავლეთ სახელმწიფოთა მოთხოვნის თაობაზე ბულგარეთის დელეგატმა შენიშნა: „თუ მათ ნამდვილად სურთ რაც შეიძლება მალე შეიყვანონ ავსტრია დუნაის კომისიაში, ისინი არ უნდა აბრკოლებდნენ ავსტრიისათვის ხელშეკრულების დადებას".

ბულგარეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას იმის შესახებ, რომ კომისია შეიქმნას დუნაისპირა ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

დასასრულ დღევანდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. მან ამომწურავი პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ საბჭოთა წინადადებას და მოითხოვდნენ, რომ დუნაის კომისიაში შეყვანილ იქნან დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლები, ავსტრია და გერმანია. ვიშინსკიმ ცხადჰყო ამ მოთხოვნის სრული უსაფუძვლობა, როგორც არსებითად, ისე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის დელეგატმა კონფერენციის ტრიბუნა „მარშალის გეგმის" პროპაგანდისათვის გამოიყენა, ვიშინსკიმ ვრცელი ფაქტიური მასალა მოიყვანა და ცხადჰყო ევროპაში ამერიკული ექსპანსიის ამ იარაღის ნამდვილი არსი. ვიშინსკიმ აგრეთვე პოპულარულად განუმარტა ინგლისის დელეგატს, გეოგრაფიულ რუკაზე მითითებით, რომ სსრ კავშირი დუნაისპირა სახელმწიფოა და რომ არა მარტო უკრაინა, არამედ მოლდავეთიც დუნაისა და პრუტის შესართავის რაიონში დუნაის ეკრის (როგორც ვიცით, ინგლისის დელეგატმა დღეს დილით ეჭვი გამოსთქვა, არის თუ არა სსრ კავშირი დუნაისპირა სახელმწიფო).

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გენერალური კომიტეტის წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ საბჭოთა წინადადებას დუნაის კომისიის შემადგენლობის შესახებ.

მდგომარეობა ბერლინში

ბერლინი, 12 აგვისტო. (საქდესი). კვლავ მწვავდება სერიოზული ეკონომიური სიძნელეები, რაც ბერლინის დასავლეთ სექტორებში წარმოიშვა ამ სექტორებში სეპარატული მარკის „B" შემოღების შედეგად. ქალაქის ახლანდელმა მაგისტრატმა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობენ, გამოიჩინა სრული უუნარობა — მოესპო ან თუნდაც შეემცირებინა ეს სიძნელეები. პირიქით, მაგისტრატის სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა, როგორც ჩანს, ცდილობს დასავლეთი სექტორების მცხოვრებთა გაჭირვება თავისი ვიწრო-პარტიული ინტერესებით გამოიყენოს.

შესაბამისად საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისა მთელი ბერლინის მოსამარაგებლად საბჭოთა მარაგიდან 100 ათასი ტონა ხორბლისა და სხვა სურსათის გამოყოფის შესახებ, უკანასკნელ დღეებში დიდძალი სურსათი შემოდის ბერლინში.

როგორია მოეპყრო მაგისტრატი ბერლინის მოსახლეობისათვის ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას? მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელმა სოციალ-დემოკრატმა ფიულზაკმა არ იზრუნა იმისათვის, რომ შემოტანილი სურსათი დროზე გადმოეტვირთა. ამ მოხელის დანაშაულებრივი უდარდელობის შედეგად ასობით სურსათიანი ვაგონი მოცდენილია სასაქონლო სადგურებზე ბერლინში და ბერლინის მახლობლად.

როგორც ბერლინის პრესა იუწყება, ფიულზაკი ნაცვლად იმისა, რომ უზრუნველჰყოს ბერლინში შემოსული სურსათის გადმოტვირთვა, იმას ცდილობს, რომ მომარაგების მისთვის დაქვემდებარებული ქალაქის განყოფილება ქალაქის საბჭოთა სექტორიდან ინგლისის სექტორში გადაიტანოს. ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის ნებართვით ფიულზაკის განყოფილება მაგისტრატის შენობიდან გადადის უზარმაზარ შენობაში რაიხსკანცლერ-პლაცზე. შენობის ოდენობის მიხედვით, იქ შეიძლება მაგისტრატის ერთ განყოფილებაზე მეტი მოთავსდეს. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ვარაუდობენ, რომ მომარაგების განყოფილების შემდეგ ქალაქის ცენტრიდან რაიხსკანცლერ-პლაცზე გადაიტანენ ეკონომიურ და ფინანსურ განყოფილებებს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" სწერს: „საქმე გაჩარხულია! რეიტერმა, ნოიმანმა, ზურმა და კომპანიამ, ბოლოს, განახორციელეს თავისი დანაშაულებრივი გეგმა. პროფკავშირებისა და პოლიციის გათიშვის შემდეგ დადგა მომარაგების განყოფილებისა და, მაშასადამე, მთელი მაგისტრატის ჯერი".

ბერლინი, 12 აგვისტო. (საქდესი). ამერიკელები და ინგლისელები განაგრძობენ ბერლინიდან მზა საქონლისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გატანას. ბერლინის მელითონეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ რეტმანმა ამ პროფკავშირის გამგეობის სხდომაზე 10 აგვისტოს განაცხადა, რომ მარტო ერთმა კონცერნმა „აეგ" დასავლეთში „საჰაერო ხიდით" 3 მილიონის მარკის მზა პროდუქცია გაგზავნა, თუმცა ერთი პფენიგის ნედლეულიც კი არ მიუღიათ. სიმენსის კონცერნის სპანდაუს ქარხანა „საჰაერო ხიდით" დასავლეთში გზავნის სპილენძის მთელ თავის მარაგს.

დღეს ლისის ტბაზე

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესთან დაკავშირებით დღეს, 15 აგვისტოს, ლისის ტბაზე მოეწყობა დიდი მასობრივ-სპორტული სეირნობა. სპორტულ სანახაობათა პროგრამაში შედის საჩვენებელი ცურვა, წყალში ხტომა, ნავებით სეირნობა ტბაზე და სხვ.

მსურველთა გადასაყვანად დღეს ბერიას მოედნიდან ლისის ტბამდე ივლიან ავტობუსები.

ნადირობის სეზონი

დღეიდან იხსნება ნადირობის სეზონი მწყერებზე და წყლის ფრინველებზე. წელს სანადირო სეზონს კარგი პირი უჩანს. დიდი რაოდენობით შემოსულია მწყერი და სხვა სანადირო ფრინველები.

საქართველოს მონადირეთა კავშირი მომზადებული შეხვდა სანადირო სეზონის გახსნას. როგორც თბილისში, ისე რაიონულ მონადირეთა ამხანაგობებში შემოზიდულია საკმაო რაოდენობით ტყვია-წამალი და სხვა სანადირო მოწყობილობა. მონადირეთა კავშირმა ამ დღეებში ბერიას მოედანზე გახსნა საჩვენებელი სამონადირეო მაღაზია, სადაც იყიდება ყოველგვარი სანადირო მასალა და მოწყობილობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მთაწმინდა)
კვირას, 15 აგვისტოს
დიდი სახალხო სეირნობა
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად
ესტრადაზე — კონცერტი
სახელმწიფო თეატრების და საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სალექციო დარბაზში უმცროსი ლეიტენანტის გ. ს. მოზეროვის მოხსენება
„სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე".
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
შესვლა თავისუფალია
პარკში სხვადასხვა გასართობი და ატრაქციონები.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება იღებს განაცხადს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, დაწესებულება-საწარმოებისაგან, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისაგან მასობრივი მეცნიერულ-საგანმანათლებლო ლექციების მოსაწყობად სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებსა და საბუნებისმეტყველო, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკურ, ლიტერატურულ, პედაგოგიკურ, ისტორიულ და ხელოვნებათმცოდნეობის თემებზე.
ლექციებს წაიკითხავენ მაღალი კვალიფიკაციის ლექტორები: აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები და ცოდნის სხვადასხვა დარგის სხვა სპეციალისტები.
ლექციების მოსაწყობად ხელშეკრულების დადება და განაცხადის მიღება სწარმოებს საზოგადოების შენობაში, ქალაქი თბილისი, მახარაძის ქუჩა, № 14 (ტელეფონები № 3-05-34 და № 3-33-77), აგრეთვე საზოგადოების რწმუნებულთა მიერ ადგილობრივ.
აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ ქუთაისში, თელავსა და ზესტაფონში განაცხადს ხელშეკრულების დასადებად და ლექციის მოსაწყობად მიიღებს საზოგადოების სათანადო რწმუნებული.

შვილები მარო, ელისო, ირაკლი, ვანო, ზურაბ ტატიშვილები, რძლები მანია, ცუცა, სიძე გოგი მაჩაიძე იუწყებიან **ევდოკია მიხეილის ასულ ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 7½ ს. გამოსვენება 17-VIII, 5½ ს. ქუჩიშვილის, 7.

უახლოესი მეგობრები: გალაქტიონ ხურციძე, ნოე ჩხაიძე, ილია თაბაგარი, ნიკოლოზ გოგებაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ ტატიშვილს მისი დედის **ევდოკიას** გარდაცვალების გამო.

ქ. ქაჯაია, თ. ყველაშვილი, ა. პაჭკორია, გ. პოლოსოვა, თ. დგებუაძე, თ. მაკანტალაშვილი, ს. უმიკაშვილი, მ. რევიშვილი, ი. ტატიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ქ. ჯიქია, ს. გამრეკელი, ქ. ბეკუაშვილი, ჯ. ცისკარიძე, მ. ბითაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვანო შარაშიძეს მისი მამის **ბესარიონ შარაშიძის** გარდაცვალების გამო.

ბავშვთა ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **მაყვალა თოდრიას** გარდაცვალებას.

24-ე აფთიაქის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე აფთიაქის გამგეს ზ. ტატიშვილს მისი დედის **ევდოკია მიხეილის ასულ ტატიშვილის** გარდაცვალების გამო.

ქ. გოგიშვილი, გ. ქირია, გ. ლოლაძე, ა. შრომოლი, კ. ხაზარაძე, გ. წერეთელი, ე. ლალაიანი, ვ. დეკანოზიშვილი, კ. ორმოცაძე, ი. ცუცქირიძე, ვ. ლომინაძე, გ. გერსამია, ს. ვუნია, ბ. ტატარინოვი, დ. ჯაფარიძე, გ. ხომერიკი, გ. მგალობლიშვილი, გ. ხმალაძე, ვ. რუხაძე, შ. გავაშელი, ა. კობახიძე იუწყებიან **ბაბილინა პავლეს ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII ქ. ბათუმში.

მეუღლე ესმა, შვილი ვანო მეუღლით ნადიათი და შვილებით ამირანით და ნესტით შარაშიძეები იუწყებიან **ბესარიონ როსტომის-ძე შარაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII ქ. ფოთში, მახარაძის, 39.

საქართველოს „ზაგოტზერნის" **დიდუბის** ბაზის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ სოლომონ თოდრიას მისი დის **მაყვალას** გარდაცვალების გამო.

ძმა სოლომონ მეუღლით მარიამით, შვილით ეთერით, სიძით ავთანდილ მაჭავარიანით იუწყება ექიმ **მაყვალა ირაკლის ასულ თოდრიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 8 ს. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. მარის, 10.

დედა მართა, შვილი მაქრო, დები მერი და ლელა, დათიკო ხეცურიანი იუწყებიან **ნანა ბიჭაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-VIII, 8 ს. ბესიკის, 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3.08.67, სამდივნოსი—3.06.88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05. პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო— [illegible] სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24. მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობისა — 3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 12703